www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 3 ივლისი, 2009 წელი. №148 (2186) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიჭიანი ნომერი
*2424

ამერიკელები ავღანეთში მსხვილმასშტაბიან ოპერაციას ატარებენ

A7




ჟანგბადი

A8



მოკრძალებული სტარტი

A9



24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# ვაჭრობა არ შედგება

## ოფიციალური განმარტებები და რეკომენდაციები ობამა-მედვედევის შეხვედრის წინ

დიმიტრი ავალიანი

*ობამა-მედვედევის შეხვედრაზე ვაშინგტონი მოსკოვთან საქართველოს საკითხით ვაჭრობას არ აპირებს. აშშ-ს ადმინისტრაციის ეს პოზიცია კიდევ ერთხელ გაახმოვანა პრეზიდენტის მრჩეველმა. ამერიკელი ექსპერტები და მედია ობამას ურჩევენ, მოსკოვში ვიზიტის დროს რუსეთს მკაცრი გაფრთხილება მისცეს, რომ საქართველოს წინააღმდეგ პროვოკაციებისგან თავი შეიკავოს.*

ობამა-მედვედევის 6 ივლისის შეხვედრის მთავარი საკითხი ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ შეთანხმება იქნება. თუმცა, როგორც რუსეთისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველმა მაიკლ მაკფოლმა აღნიშნა, აშშ-სა და რუსეთს შორის კვლავაც წინააღმდეგობაა ისეთ საკითხებზე, როგორიც არის საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში სამომავლო გაწევრიანება და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა ევროპაში.

გაგრძელება A3 გვერდზე



# გლუხოვი, არტემიევი... ვინ არის შემდეგი?

## რუსეთის არმიიდან გაქცევა გრძელდება

*როდესაც მიმდინარე წლის დასაწყისში უმცროსმა სერჟანტმა ალექსანდრ გლუხოვმა ახალგორში დისლოცირებული რუსული სამხედრო ნაწილი მიატოვა და საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა, ბევრმა ეს შემთხვევითობად მიიჩნია. თუმცა, როგორც ჩანს, საკუთარი არმიიდან რუსი სამხედრო მოსამსახურეების გაქცევა თანდათან უკვე ტენდენციის სახეს იღებს. ყოველ შემთხვევაში, გლუხოვის მაგალითი რიგით ჯარისკაც დმიტრი არტემიევისთვის მისაბაძი გამოდგა. 1 ივლისს ის სოფელ პერევში დისლოცირებული სამხედრო ნაწილიდან გაიქცა და დახმარებისთვის ქართულ მხარეს მიმართა. გლუხოვის მსგავსად, დმიტრი არტემიევიც სამხედრო ნაწილის დატოვების მიზეზად გაუსაძლის პირობებს და ოფიცრების მხრიდან ფიზიკურ შეურაცხყოფას ასახელებს.*

გიორგი ასანიშვილი

**პერევის სამხედრო ნაწილში ძალიან ცუდად მექცეოდნენ, ადამიანად არ მთვლიდნენ, სასტიკად მცემდნენ. ამიტომაც გამოვიქეცი და სოფელში, მოხუცი კაცის ოჯახს შევაფარე თავი. შემდეგ მოვიდნენ დევნილთა საზოგადოებიდან და თბილისში გადმომიყვანეს. ვიცოდი, რომ ჯარიდან ერთი გამოქცეული საქართველოში ცხოვრობს და მინდა, მეც აქ ვიცხოვრო,** - აღნიშნა არტემიევმა ქართველ ტელეჟურნალისტებთან საუბრისას.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში აზუსტებენ, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე რუსმა ჯარისკაცმა დახმარებისთვის გაერო-ს ოფისს მიმართა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჟენევის გეგმების გამოძახილი

## პრიორიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხს მიენიჭება

*საქართველოს ხელისუფლებაში აგრძელებენ მსჯელობას 14 ივლისს, გალში დაგეგმილი შერეული ჯგუფის შეხვედრის შესახებ.*

შეხვედრაზე, რომლის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება კავკასიის უსაფრთხოების საკითხებზე ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციების მეექვსე რაუნდზე მიიღეს, ინციდენტების პრევენციის მიზნით კონკრეტული მექანიზმების შემუშავების საკითხი იქნება განხილული.

გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ ამ შეხვედრის შესახებ საქართველო არა აფხაზურ მხარეს, არამედ რუსეთს შეუთანხმდა.

**"უკვე აღიარებულია, რომ კონფლიქტი ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის კი არა, საქართველოსა და რუსეთს შორის მოხდა. აქედან გამომდინარე, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას და ითქვას, რომ შეხვედრის გამართვის თაობაზე შეთანხმება არა აფხაზებთან, არამედ რუსეთთან მოხდა და შეხვედრაში სეპარატისტებიც მიიღებენ მონაწილეობას,"** - განაცხადა იაკობაშვილმა.

თემურ იაკობაშვილი პროგნოზებს არ აკეთებს. იგი თავს იკავებს იმის შეფასებისგან, თუ რა შედეგებს შეიძლება ველოდოთ აღნიშნული შეხვედრიდან.

გალში დაგეგმილ შეხვედრას აფხაზეთის ავტონომიური მთავრობის ხელმძღვანელი გია ბარამიაც ეხმიანება. ბარამიას ინფორმაციით, ერთობლივი ჯგუფი, რომელიც 14 ივლისიდან ამოქმედდება, ორიენტირებული იქნება კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ქართველთა უფლებების დაცვაზე. **"შერეული ჯგუფის შეხვედრაზე ჩვენი მხრიდან პრიორიტეტული იქნება ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი,** - განაცხადა ბარამიამ და დასძინა, რომ ამ კუთხით კონფლიქტის ზონაში უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი.

გაგრძელება A2 გვერდზე

**გიორგი ცაგარეიშვილი პარლამენტში თავისი კაბინეტის "საჯარო ტრიბუნად გადაქცევას" გეგმავს**

უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ მიიღო გადაწყვეტილება, თავის კაბინეტში დღეიდან მუდმივად გაიმართოს ბრიფინგები ხელისუფლების უკანონობის სამხილებლად." "დღევანდელი პარლამენტი დაყრუებული და დამუნჯებულია," - აცხადებს დეპუტატი, რომელიც აღნიშნული გზით ცდილობს, ერთი მხრივ, "პარლამენტართა გამოცოცხლებას" და მეორე მხრივ "საზოგადოებისთვის მართალი ხმის მიწვდენას პარლამენტიდან."

ამასთან, ცაგარეიშვილის განმარტებით, ის მზად არის, პარლამენტში საკუთარი ოთახი განცხადებების გასაკეთებლად დაუთმოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც ხელისუფლების მხრიდან შევიწროვებას განიცდის. "ყველას ექნება საშუალება, ამ ოთახიდან ყველა უკანონობის შესახებ გააკეთოს განცხადება. ასევე, მობილური ტელეფონი 24 საათის განმავლობაში ჩართული მექნება და ნებისმიერი მოქალაქესი შეძლებს ჩემთან დაკავშირებას, მერაბიშვილის უწყების გარდა. "სოდ"-ს, "კუდ"-ს და საერთოდ მერაბიშვილის ხალხს მოვუწოდებ, ჩემთან დაკავშირებით თავი არ შეიწუხონ, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, მე მათ სატელეფონო ნომრებს საჯაროდ გამოვაცხადებ," - განაცხადა ცაგარეიშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობა ცაგარეიშვილს ახსენებს, რომ "ხალხის ტრიბუნას წარმოადგენს არა მხოლოდ მისი კაბინეტი, არამდ პარლამენტის მთელი შენობა." ეს განცხადება უმრავლესობის სახელით დეპუტატმა გიორგი იმნაძემ გააკეთა.

გიორგი იმნაძე ცაგარეიშვილს საპარლამენტო მუშაობაში ჩართვისკენ და ხალხის ინტერესების პარლამენტის სხდომათა დარბაზის ტრიბუნიდან დაცვისკენ მოუწოდებს.

"დღეს ხალხს სჭირდება არა მხოლოდ თავისი პრობლემების გახმოვანება, არამედ მათი გადაწყვეტაც. ამიტომ უმჯობესია, ჩვენმა ოპონენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო მუშაობაში, პარლამენტის სხდომებსა და კომიტეტებზე საზოგადოებისთვის საჭირო კანონპროექტების განხილვისა და მათი მიღების პროცესში," - განაცხადა გიორგი იმნაძემ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## რუსეთის პატრიარქმა საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია მიიღო

საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია რუსეთის პატრიარქმა კირილმა მიიღო. შეხვედრაზე რუსეთის პატრიარქმა იმედი გამოთქვა, რომ ქართული დელეგაციის ეს ვიზიტი ქვეყნებს შორის დაძაბულ ვითარებას განმუხტავს. მისი განცხადებით, ქვეყნებს შორის პოლიტიკური უთანხმოება და დროებით შეწყვეტილი დიალოგი ქართულ და რუსულ ეკლესიებს შორის თანამშრომლობა-მეგობრობაზე გავლენას ვერ იქონიებს.

ქართულმა დელეგაციამ შეხვედრისას ბევრი მწვავე საკითხი წამოაყენა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი აფხაზეთისა და ცხინვალის ეპარქიებიდან გამოდევნილი ბერების დაბრუნების საკითხი იყო. რუსეთის საპატრიარქო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეპარქიებს ქართული ეკლესიის განუყოფელ ნაწილებდ მიიჩნევს. მოსკოვის საპატრიარქოს ცნობით, სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი საქართველოს 2010 წელს ეწვევა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

ქალიშვილი თამარ მამულაშვილი, ძმისშვილი ლია, სიძე მამა ფარნავაზ კობიაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რაფიელ მამულაშვილი**

პანაშვიდი 2 და 3 ივლისს, 7 საათზე. დაკრძალვა 4 ივლისს 3 საათზე.
მისამართი: ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. 5, მე-4 სადარბაზო.

# გლუხოვი, არტემიევი... ვინ არის შემდეგი?

პირველი გვერდიდან

მათ თავის მხრივ, კობა სუბელიანის უწყებას გაუგზავნეს შუამდგომლობა, რომ არტემიევს ლტოლვილის სტატუსი მიენიჭოს.

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენელი საქართველოში პიტერ ნიკოლაუსი აცხადებს, რომ არტემიევის საქმეს კონტროლზე აიყვანს. იგი ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, აღნიშნული საქმე სასამართლოს გადასცეს.

**ეს საკითხი საქართველოს გადასაწყვეტია, მაგრამ ამასთან აუცილებელია, რომ გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლის ნორმებს შეესაბამებოდეს. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ, რომ აღნიშნული ნორმები დაირღვეს და პიროვნების დეპორტაცია სასამართლოს გარეშე მოხდეს,** - აღნიშნავს ნიკოლაუსი.

როგორც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში აცხადებენ, არტემიევს უკვე მიენიჭა ლტოლვილის მაძიებლის სტატუსი და ვითარების სრულად გარკვევის შემდეგ ლტოლვილის სტატუსიც მიენიჭება.

**ამის შემდეგ არტემიევის საცხოვრებელსა და სამოქალაქო ინტეგრაციაზე ჩვენი უწყება იზრუნებს,** - აღნიშნავენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლები.

რუსი ჯარისკაცის დეზერტირობის ფაქტი გუშინ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომაც დაადასტურა. ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლის განცხადებით, **"მომხდარში გარკვევის მიზნით, ოლქში სპეციალური კომისია შეიქმნა."** ამასთან, რუსი სამხედრო მაღალჩინოსნები არ უარყოფენ, რომ **რიგითმა არტემიევმა სამხედრო ნაწილი ჩრდილოკავკასიელთა მხრიდან დედოვშჩინის გამოვლინების გამო დატოვა.**

გუშინვე რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ოფიციალურ თბილისს რიგითი დმიტრი არტემიევის სამხედრო ნაწილში დაბრუნების მოთხოვნით მიმართა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის სამმართველოს ინფორმაციით, "თავდაცვის სამინისტროს უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა ქართულ მხარესთან მოლაპარაკებები უკვე დაიწყეს." თუმცა, ქართული მხარე რუსეთთან არანაირი მოლაპარაკების დაწყებას არ ადასტურებს.

ქართული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობით კი, დმიტრი არტემიევის გაქცევის შემდეგ რუსული პოსტიდან ერთი ტანკი სოფელ ჯრიაში გადავიდა და რუსმა სამხედრო პირებმა ჯარისკაცის დაბრუნების შესახებ საჩხერის რაიონის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების გამართვა მოინდომეს. თუმცა, როცა გაირკვა, რომ არტემიევი გაერო-ს წარმომადგენლებთან იმყოფებოდა, რუსული ტანკი ისევ სოფელ პერევში, საგუშაგოზე დაბრუნდა.

გუშინ ასევე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს არტემიევის გაქცევის შემდეგ რუსმა სამხედროებმა სოფელ პერევში საგუშაგო 12 კილომეტრით წინ გადმოწიეს. თუმცა, ეს ინფორმაცია ადგილობრივმა მოსახლეობამ არ დაადასტურა.

რუსული სამხედრო ნაწილიდან ჯარისკაცის გამოქცევის ფაქტს გუშინ საქართველოს პრეზიდენტიც გამოეხმაურა და ამ ფაქტს სრულიად ბუნებრივი უწოდა.

**"მან ავტორიტარიზმის, არადემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრებისა და მისი ინტერესების გატარების ნაცვლად, თავისუფლებაში ცხოვრება აირჩია. თავისუფლების ხაზი კი დღეს სწორედ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გავლებულ ბარიერებზე გადის. ეს არის ახალი "ბერლინის კედელი,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი მტკიცებით, ალექსანდრე გლუხოვისა და დიმიტრი არტემიევის მსგავსად, რუსული საჯარისო ნაწილებიდან გაქცევა ბევრ რუს ჯარისკაცს სურს.

**"ბევრია რუსული ჯარიდან გაქცევის მსურველი, ჩვენ გვაქვს ამის შესახებ ინფორმაცია,"** - განმარტა პრეზიდენტმა, რომლის მტკიცებითაც, საქართველო არა მხოლოდ თავის თავისუფლებას, არამედ რუსეთში მყოფი თავისუფლების მსურველი ადამიანებისა და რეგიონის თავისუფლებასაც დაიცავს.

# ჟენევის ბეგმების გამოძახილი

პირველი გვერდიდან

პრევენციების მექანიზმების ამოქმედების ინიციატივას დადებით კონტექსტში განიხილავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი სერგი კაპანაძე. კაპანაძეს მოჰყავს სამწუხარო სტატისტიკა კონფლიქტური რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ.

**"ოქტომბრის შემდეგ კონფლიქტური რეგიონების მიმდებარე ტერიტორიაზე 100-მდე ინციდენტი დაფიქსირდა, რის შედეგადაც გვყავს 19 დაღუპული და ძალიან ბევრი დაჭრილი. ასევე მოხდა ადამიანთა გატაცების რამდენიმე ფაქტი და სხვადასხვა სახის ინციდენტები საერთაშორისო დამკვირვებლების წინააღმდეგ. პრევენციის მექანიზმის ამოქმედება მნიშვნელოვანი და კარგია იმისთვის, რომ აღნიშნული ტიპის ინციდენტები იქ მომავალში აღარ განმეორდეს,"** - განაცხადა სერგი კაპანაძემ.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ილარიონოვი რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყებაში კიდევ ერთხელ ადანაშაულებს

ვლადიმირ პუტინის ყოფილი მრჩეველი ალექსეი ილარიონოვი რუსეთის ხელისუფლებას საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყებაში კიდევ ერთხელ ადანაშაულებს. როგორც ალექსეი ილარიონოვმა "RTVI"-ის ეთერში განაცხადა, აგვისტოს დასაწყისში ცხინვალის რეგიონში რუსეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობა სამჯერ მეტი იყო, ვიდრე ქართული პოლიციისა. "რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა კონკრეტული დირექტივა მიიღეს ხელისუფლებისგან, რომ ქართული პოლიციის მანქანების გამოჩენისთანავე ცეცხლი უნდა გაეხსნათ და საბრძოლო მზადყოფნაში მოსულიყვნენ. აგვისტოს ომისთვის რუსეთი წინასწარ ემზადებოდა. კონფლიქტურ რეგიონებში სამხედრო ძალის მობილიზება მან კარგა ხნით ადრე დაიწყო. 2008 წლის დასაწყისში სამხრეთ ოსეთი ყველაზე მილიტარიზებული ადგილი იყო მთელ მსოფლიოში. აგვისტოს დასაწყისში იქ მობილიზებული სამხედრო ძალა სამჯერ აღემატებოდა საქართველოს შეიარაღებას," - განაცხადა ილარიონოვმა. მისივე მტკიცებით, ის ფლობს უტყუარ ინფორმაციას, რომ 8 აგვისტოს, დილით სამშვიდობოების კაპიტანმა კონსტანტინე კამერმანმა საბრძოლო პოზიციების დაკავებისა და ქართული პოლიციის გამოჩენისთანავე მათთვის ცეცხლის გახსნის ბრძანება მიიღო. "მან ბრძანება შეასრულა. 8 აგვისტოს დილის ექვს საათზე რუსმა სამშვიდობოებმა ცეცხლი გაუხსნეს ცხინვალის გზაზე მიმავალ ქართულ პოლიციას. ამას მოჰყვა ომი, რომელიც რუსეთმა საქართველოზე მასობრივი აგრესიის განხორციელებისთვის გამოიყენა," - განმარტა ილარიონოვმა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი მოსკოვში არ ჩავა

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი პრეზიდენტ ბარაკ ობამას მოსკოვში აღარ გაჰყვება. სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ამის მიზეზი ხელთან დაკავშირებული პრობლემებია.

ცნობისათვის - ჰილარი კლინტონმა 6 ივნისს ხელი მოიტეხა. ოფიციალური ინფორმაციით, ობამას მორიგი ტურნის დროს კლინტონის ნაცვლად მისი მოადგილე გაჰყვება. აშშ-ს უმაღლესი დონის დელეგაციის ვიზიტი მოსკოვში 6-8 ივლისს გაიმართება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ვაჭრობა არ შედგება

პირველი გვერდიდან

**ჩვენი მიდგომა ის არის, რომ ჩვენ ვაყალიბებთ ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, ღიად ვსაუბრობთ მათ შესახებ და ვაკვირდებით, მოსწონთ თუ არა სიტუაცია სხვა მხარეებს,** - აღნიშნა მაკფოლმა.

მაკფოლის თქმით, **აშშ არ აპირებს, რუსეთს ევაჭროს** ნატო-ს გაფართოებაზე და ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებაზე.

მისი განცხადებით, ნატო-ს კარი კვლავაც ღიაა სხვადასხვა ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსა და უკრაინისთვის. **"თუ ქვეყნები აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს და ამ სახელმწიფოების ხალხებს ალიანსთან მიერთება სურთ, იწყება მოლაპარაკებები და ეს ეხება საქართველოსაც, უკრაინასაც და რეგიონის სხვა ქვეყნებსაც,"** - განაცხადა მაკფოლმა. მისი თქმით, აშშ აქამდეც მკაფიოდ აცხადებდა ნატო-ს გაფართოების მხარდაჭერის შესახებ.

მაკფოლის თქმით, უახლოეს მომავალში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი თბილისში და კიევში ჩავა და ეს იმის სიგნალი იქნება, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობების გადატვირთვა არ ნიშნავს ოფიციალური ვაშინგტონის მხრიდან ამ ქვეყნების დემოკრატიების მხარდაჭერაზე უარის თქმას.

რაც შეეხება ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებას, მაკფორმა აღნიშნა, რომ ამჟამად ამ პროგრამის, ისევე როგორც სხვა პროგრამების, გადასინჯვა მიმდინარეობს. თუმცა, **საუბარი არ არის იმის შესახებ, რომ ჩვენს გეგმებზე მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის გამო ვთქვათ უარი.**

განცხადებებს იმის თაობაზე, რომ მედვედევთან შეხვედრაზე ობამამ საქართველოს საკითხში უკან არ უნდა დაიხიოს, ამერიკელი ექსპერტებიც აკეთებენ. ავტორიტეტულ ამერიკელ პოლიტოლოგ ზბიგნევ ბზეჟინსკის აზრით, მოსკოვში აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი ის უნდა გახდეს, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამეორება არ დაუშვას.

როგორც ბზეჟინსკი გაზეთ "ფაინეიშენალ თაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავს, აშშ-სა და რუსეთს შორის არსებული გეოპოლიტიკური კონფლიქტების იგნორირება არ შეიძლება. მნიშვნელოვანია, რომ პუტინი წუხს სსრკ-ს დაშლის გამო და უკუპროცესის დაწყება სურს.

პოლიტოლოგის განმარტებით, უკრაინაზე კონტროლის აღდგენა, ფაქტობრივად, აღადგენდა იმპერიულ რუსეთს, საქართველოს დამორჩილება კი დასავლეთს კასპიის ზონას ჩამოაშორებდა - "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მილსადენიანად. ამის შემდეგ აზერბაიჯანს სხვა გამოსავალი აღარ დარჩებოდა და ისიც მოსკოვის კონტროლს დაემორჩილებოდა.

ბზეჟინსკის აზრით, მოსკოვში ბარაკ ობამას ვიზიტის დროს პუტინი და მედვედევი დაიწყებენ იმის ნიშნების ძიებას, რომ აშშ უარს იტყვის საქართველოსთან და უკრაინასთან გაფორმებულ ქარტიებზე სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. **"თუ მოსკოვმა მსგავსი თუნდაც უნებური სიგნალი მიიღო, მას ამ ქვეყნების წინააღმდეგ ახალი ძალისმიერი ქმედებებისთვის მწვანე შუქი აენთება,** - აღნიშნავს ექსპერტი.

რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების მომავალი შეხვედრის მთავარი მიზანი რუსეთ-საქართველოს ახალი ომის თავიდან აცილება უნდა გახდეს, - იუწყება გაზეთი უოლ სთრით ჯორნელი.

გამოცემა წერს, რომ იმ დღეებში, როდესაც რუსული გაზეთები აჭრელებულია ცნობებით თბილისზე ლაშქრობისთვის კრემლის მზადების შესახებ, ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება. ავტორები მიიჩნევენ, რომ ობამამ ამ საკითხზე მკაცრი პოზიცია უნდა დაიკავოს. აშშ-ს პრეზიდენტმა უნდა განაცხადოს, რომ მისი ქვეყანა საქართველოს სუვერენიტეტს უჭერს მხარს და რუსეთის ხელისუფლებას შესაძლო აგრესიაზე პასუხისმგებლობა შეახსენოს.

როგორც სტატიის ავტორები აღნიშნავენ, ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში რუსეთმა აშშ-ს საწინააღმდეგოდ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. კერძოდ, აღიარა არჩევნები ირანში, გააუქმა სამშვიდობო მისიები საქართველოში და მიანიშნა ობამას, რომ მის ამბიციურ გეგმებს ბირთვული არსენალების შემცირების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერენ მხარს, თუ აშშ უარს იტყვის ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის განლაგებაზე.

**თუმცა, შეერთებულმა შტატებმა მოსკოვს გაუგზავნა სიგნალი, რომ არ აპირებს დათმობებზე წასვლას ისეთ პრინციპულ საკითხებში, როგორებიც რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა და ნატო-ში უკრაინისა და საქართველოს გაწევრიანებაა,** - წერს გამოცემა.

იმავდროულად, გაზეთი აღნიშნავს, რომ მოსალოდნელია, ობამას მომავალი გამოსვლა მოსკოვის ეკონომიკის უმაღლეს სკოლაში მესამე მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური გამოსვლა გახდეს პრაღისა და ქაიროს შემდეგ. ობამა შეეცდება რუსეთის დარწმუნებას იმაში, რომ აშშ-ს გაძლიერება რუსეთის დასუსტებას არ ნიშნავს.

იმავდროულად, ობამა აპირებს, შეხვდეს რუსული ოპოზიციის წარმომადგენლებს და ინტერვიუ მისცეს ოპოზიციურ ნოვაია გაზეტას.

რუსეთში ვიზიტის წინ აშშ-ს პრეზიდენტისთვის საგანგებო რეკომენდაციები ამერიკელმა სენატორებმა და ავტორიტეტულმა ექსპერტებმა მოამზადეს. ისინი აღნიშნავენ, რომ **კავკასია ფეთქებადსაშიში რეგიონია, რომელიც შეერთებული შტატების მხრიდან დიდ ყურადღებას მოითხოვს.** რეკომენდაციების ავტორები ობამას გასული წლის მოვლენებს ახსენებენ და ურჩევენ, მოსკოვში ყოფნისას საქართველოს უსაფრთხოების საკითხი პირველ პლანზე დააყენოს. ასევე, ექსპერტები პრეზიდენტს ურჩევენ, მედვედევთან რუსეთში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები განიხილოს.

# პრეზიდენტის შეხვედრები

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ორი შეხვედრა გამართა. პრეზიდენტი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს შეხვდა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თანამშრომლებიც მოინახულა.

პრეზიდენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის გუშინდელი შეხვედრა დაანონსებული არ ყოფილა და მედიისგან კონფიდენციალურად გაიმართა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებთან შეხვედრისას ქვეყნის საგარეო და საშინაო საკითხები კიდევ ერთხელ განიხილა. როგორც შეხვედრიდან გამოსულმა დეპუტატმა გოკა გაბაშვილმა განაცხადა, საუბარი შეეხო ივლისში, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის თბილისში დაგეგმილ სტუმრობასა და 6-8 ივლისს ბარაკ ობამას ვიზიტს მოსკოვში. გაბაშვილის განმარტებით, პრეზიდენტთან დეპუტატებმა ჟენევაში გამართული მოლაპარაკებების შედეგებიც შეაჯამეს.

მიხეილ სააკაშვილთან შესახვედრად ავლაბრის რეზიდენციაში პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი და საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები იმყოფებოდნენ.

მიხეილ მაჭავარიანმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ ეს იყო არაფორმალური, სამუშაო შეხვედრა, სადაც პრეზიდენტმა უმრავლესობის წევრებთან საშინაო საკითხებიც განიხილა.

**რუსეთის ინტერესების გამტარებელ ადამიანებთან ქართველი პოლიტიკოსების შეხვედრები პირად შეხვედრებად ვერ ჩაითვლება,** - ეს განცხადება პრეზიდენტმა სააკაშვილმა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თანამშრომლებთან შეხვედრისას გააკეთა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ბოლო დღეებში ხშირად ესმის ინფორმაციები ქართველი პოლიტიკოსების რუსეთის ინტერესების გამტარებელ ადამიანებთან შეხვედრების შესახებ.

იგი მიიჩნევს, რომ რუსეთის ინტერესებთან დაკავშირებული ადამიანებისთვის "რამის თხოვნა" ქვეყნისთვის არ არის სასარგებლო და აცხადებს, რომ პოლიტიკოსები კიევში და ბერლინში სწორედ რუსეთის ინტერესების გამტარებელ ადამიანებს ხვდებიან. **"ქართველმა პოლიტიკოსებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მეტი პასუხისმგებლობა აქვთ. რუსეთმა საქართველოს დაყოფა და დამოუკიდებლობის გაუქმება გადაწყვიტა. ამაზე მეტყველებს საქართველოში შიდა არეულობები. ამ ყველაფერს ფული სჭირდება და რუსეთი უკან არ იხევს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

მან პოლიტიკური ოპონენტების გასაგონად კიდევ ერთხელ განმარტა, რომ რუსეთის წარმომადგენლები დღეს არა მხოლოდ ახალგორთან და სოფელ მუჟავასთან დგანან, არამედ ისინი ბერლინსა და მეგობარ უკრაინაშიც შეიძლება იყვნენ.

**ეს იგივეა, რომ ახალგორში საოკუპაციო ხაზს იქით გადახვიდე, მტერთან მიხვიდე და დახმარება სთხოვო იმაში, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელიც მას მიზანში აქვს ამოღებული, სიტუაცია დაძაბო,"** - განაცხადა სააკაშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ეყოფა პასუხისმგებლობა და ამას არ გააკეთებს.

პრეზიდენტის განცხადებით, რუსეთს საქართველოს მარტივ მამრავლებად დაყოფა სურს. **რუსეთმა გადაწყვიტა საქართველოს მთავრობის შეცვლა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამხობა, საქართველოს მარტივ მამრავლებად დაყოფა. მათ აქვთ საქართველოს 8 თუ 10 რეგიონად დაყოფის და დესუვერინიზაციის გეგმა,"** - განაცხადა სააკაშვილმა, რომლის შეფასებითაც, ამის მისაღწევად პირველი ნაბიჯი ქვეყანაში შიდა არეულობის შექმნაა.

**"ყველამ უნდა იფიქროს საკუთარი მოქმედების შედეგებზე,"** - დასძინა ქვეყნის პირველმა პირმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

## აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ფართომასშტაბიან წვრთნებს იწყებს

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ფართომასშტაბიან წვრთნებს იწყებს.

სწავლებაში რუსეთის 43-ე არმიის ჯარისკაცები და გენერალური შტაბის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. ოკუპანტებმა ორი დღის წინ ის 5 ჯარისკაციც დააჯილდოვეს, რომლებმაც გასული წლის აგვისტოში ზემო აფხაზეთის ოკუპირებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს. ვიდეომასალას აფხაზეთის ტელევიზია ავრცელებს. წვრთნები ცხინვალის რეგიონშიც იწყება. ბატალიონის ტაქტიკური წვრთნები მე-4 რუსულ ბაზაზეა დაგეგმილი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

გუშინ ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო. აბიტურიენტთა რეგისტრაცია საგამოცდო ცენტრებში დილის 8 საათიდან მიმდინარეობდა. ამ პროცესს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია პირადად აკვირდებოდა. როგორც მან ეროვნული გამოცდების ოფიციალურად დაწყების შემდეგ განაცხადა, არანაირ ექსცესს ადგილი არ ჰქონია. "არც დაგვიანება დაფიქსირებულა. ყველაფერი წესრიგშია. გვყავს პატიმარი აბიტურიენტებიც, რომლებიც ბადრაგმა მოიყვანა. ასევე გამოცდას აბარებს ორი უსინათლო აბიტურიენტიც, რომელთა უფლებებს გამოცდის ჩაბარებისას ჩვენ სრულფასოვნად უზრუნველვყოფთ," - განაცხადა გვარამიამ. საგამოცდო პროცესში ათასზე მეტი მეთვალყურე და კურატორი, ასევე საპატრულო პოლიციის 30-მდე ბრიგადა იყო ჩართული. ყველა საგამოცდო ცენტრთან სასწრაფო დახმარების მანქანა მორიგეობდა. საგამოცდო ტესტების ცენტრებში გადატანა აბიტურიენტთა რეგისტრაციის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მოხდა. გლდანში არსებული "სახალხო ბანკის" საცავებიდან დალუქული პაკეტები საგამოცდო ცენტრებში საპატრულო პოლიციისა და უშიშროების სამსახურის თანხლებით მიიტანეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## "რუსეთი არ არის მზად, სერიოზულად განიხილოს წინადადება უსაფრთხოების მექანიზმების განლაგების შესახებ"

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ რუსეთი არ არის მზად, სერიოზულად განიხილოს ქართული მხარის წინადადება უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების განლაგების შესახებ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ქართულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, განიხილოს რუსეთის მხარესთან სრულფასოვანი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა, რომელიც მოიცავს როგორც ძალის არგამოყენებას, ქვეყნის დეოკუპაციას და ოკუპირებულ რეგიონებში საერთაშორისო ძალების განლაგებას, ისე 12 აგვისტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა მუხლებს. "ამ მიზნით ქართულმა მხარემ მოლაპარაკებების მონაწილეებს წარუდგინა რუსეთსა და საქართველოს შორის ძალის არგამოყენების დოკუმენტის პროექტი, სადაც გათვალისწინებულია საერთაშორისო საპოლიციო და სადამკვირვებლო მისიის ეტაპობრივი განლაგება ოკუპირებულ ტერიტორიებზე," - ნათქვამია განცხადებაში. საგარეო უწყების განცხადებით, სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით რუსეთის წარმომადგენლები მზად არ არიან, სერიოზულად განიხილონ ქართული მხარის წინადადება უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების განლაგების შესახებ და იგი მიიღონ როგორც ძალის არგამოყენების და საბრძოლო მოქმედებების განუახლებლობის, ისე დისკუსიების მონაწილეებს შორის ნდობის აღდგენის საუკეთესო საშუალება. იმედი გვაქვს, ჟენევის მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდებზე რუსეთის ფედერაცია უფრო სერიოზულად განიხილავს ამ დოკუმენტს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ოპოზიციის ლიდერებმა "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ოფისში კონსულტაციები გამართეს

არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა გუშინ მორიგი კონსულტაციები გამართეს. პოლიტიკური უმცირესობის ლიდერები "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ოფისში შეიკრიბნენ. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ოპოზიციონერმა ლიდერებმა განუცხადეს, მათ სამომავლო გეგმების შესახებ იმსჯელეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ღვინის ექსპორტი მსოფლიოს 55-ზე მეტ ქვეყანაში ხორციელდება

ქართული ღვინის ექსპორტი მსოფლიოს 55-ზე მეტ ქვეყანაში ხორციელდება. 2009 წელს ქართული ღვინისთვის კიდევ დამატებით გაიხსნა ინდონეზიის, ბარბადოსის და ლუქსემბურგის შიდა სამომხმარებლო ბაზარი.

როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადეს, ქართული ღვინის ექსპორტზე რუსეთის მხრიდან დაწესებული ემბარგოს შემდეგ საქართველოს ექსპორტში დაფიქსირდა ამ პროდუქციის ახალი ბაზრები. ეს ქვეყნებია: ფინეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი, რუმინეთი, ლიბერია, პანამა, მონღოლეთი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, კამბოჯა, კოტდიუარი, სინგაპური და ინდოეთი.

მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის ბოლოს ამ პროდუქციის საშუალო ფასი უმნიშვნელოდ შემცირდა, მისი ექსპორტი 2008 წელს წინა წელთან შედარებით 26%-ით გაიზარდა. იმის გათვალისწინებით, რომ ღვინის ექსპორტი ქვეყნიდან ძირითადად ოქტომბერ-დეკემბერში ხორციელდება, მიმდინარე წლის 5 თვეში მაინც საკმაო რაოდენობით გავიდა და 9.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ქართული მწვანილის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა

ქართული მწვანილის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან აცნობეს, თუ 2006 წლამდე მწვანილი გადიოდა რუსეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში, 2007 წელს გავიდა ლატვიის, მოლდოვისა და ბელარუსის, 2008 წელს - ესტონეთისა და გერმანიის ბაზრებზე.

2009 წლის 5 თვეში რუმინეთის შიდა სამომხმარებლო ბაზარზე შეაღწია. ამასთან, ამ პროდუქციის არა მარტო ახალი ბაზრები იქნა მოძიებული, არამედ იგი მიმდინარე წლის 5 თვეში, გასულ წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგებული რაოდენობით გავიდა.

2008 წელს გავიდა 1 817 ტონა - 0.9 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2009 წლის 5 თვეში გავიდა 3 037 ტონა - 1.8 მლნ. აშშ დოლარი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## საქონელბრუნვის ზრდის ტემპის ვარდნა აგვისტოს მოვლენებს უკავშირდება

ეკონომიკის სამინისტრო საქონელბრუნვის ზრდის ტემპის ვარდნას საქართველოში აგვისტოში განვითარებულ მოვლენებს და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ კრიზისს უკავშირებს.

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, 2009 წლის იანვარ-მაისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2009,1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 37,3 პროცენტით ნაკლებია.

აქედან ექსპორტი 408,3 მლნ. აშშ დოლარია, 32,9 პროცენტით ნაკლები გასულ წელთან შედარებით; იმპორტი - 1600,9 მლნ. აშშ დოლარი, 38,3 პროცენტით ნაკლები გასულ წელთან შედარებით.

ეკონომიკის სამინისტროში მიიჩნევენ, რომ საქონელბრუნვის მოცულობის კლება არა მარტო ექსპორტ-იმპორტის რაოდენობრივი კლებით, არამედ პროდუქციაზე საშუალო ფასის დაცემითაც არის გამოწვეული.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## სავალუტო ფონდი ვალუტის კურსზე ზედამხედველობას ამსუბუქებს

საერთაშორისო სავალუტო ფონდი წევრ ქვეყნებში ვალუტის კურსებზე ზედამხედველობის წესებს ცვლის. ფონდი აღიარებს, რომ ვალუტისთვის გარკვეული პარამეტრების შერჩევის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

ერთ-ერთი ცვლილება არის სავალუტო კურსის შეფასებისას უარის თქმა ტერმინზე "ფუნდამენტური დაუბალანსებლობა".

საერთაშორისო სავალუტო ფონდი აღარ ჩაატარებს სპეციალიზებულ კონსულტაციებს ქვეყნებთან, რომელთა ვალუტა არ არის დაბალანსებული და პრობლემებს უქმნის სხვა ქვეყნებს.

ფონდი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს უფრო ღრმა ანალიზს და ქვეყნების სავალუტო პოლიტიკაზე უფრო ღია მსჯელობას.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ევროკავშირის ბაზარზე ღვინის შემდეგ ქართული კვერცხი გამოჩნდება

თინა შავაძე

სამი წლის წინ დაფუძნებული ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო (EUGBC) აქტიურად აგრძელებს მუშაობას იმისათვის, რომ კერძო სექტორმა ევროსტანდარტების შესაბამისი პროდუქტი დაამზადოს და ამ გზით გასაღების ბაზარი ადვილად მოიპოვოს. ორგანიზაცია შეხვედრებისა და შეთანხმებების გაფორმებაში დახმარების გარდა, ქართველი მეწარმეებისთვის გამოსცემს სახელმძღვანელოებს ევროკავშირის კანონმდებლობის და სხვა საკითხების შესახებ. გასულ თვეში ქართველი ექსპორტიორებისათვის პუბლიკაციათა ციკლის მესამე ბროშურა დაიბეჭდა. ბროშურა მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებული ცოცხალი ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ფრინველის, ფრინველის ხორცისა და კვერცხის სერტიფიცირების პრობლემატიკას შეეხება.

ამ ეტაპზე არსებობს მცდელობა იმისა, რომ ადგილობრივი ხორცისა და ფრინველის მწარმოებელი კომპანიების საქმიანობაში ევროკავშირის ბაზრის შესაბამისი მოთხოვნები დაინერგოს. ამიტომაც ბროშურა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების დეტალურ განმარტებას მოიცავს, როგორებიცაა: წარმოებული ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების სერტიფიცირების ძირითადი ასპექტები; ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის მიზნით, მესამე ქვეყნებში წარმოებული შინაური ფრინველის, ფრინველის ხორცის, კვერცხისა და კვერცხის პროდუქტების სერტიფიცირების ძირითადი ასპექტები; ცოცხალი ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ფრინველის, ფრინველის ხორცისა და კვერცხის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესახებ მესამე ქვეყნის განაცხადის ევროკავშირის მიერ დამტკიცების პროცედურა.

როგორც ირკვევა, პუბლიკაციათა ციკლის სამივე ბროშურა ქართულ ენაზე გამოიცემა და თან ინგლისურ ენაზე მომზადებული მოკლე ანოტაცია დაერთვება. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს მიერ გამოცემული ბროშურები ევროპულ ბაზარზე ორიენტირებული ქართველი ექსპორტიორებისათვის (განსაკუთრებით - მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის) სასარგებლო პრაქტიკული სახელმძღვანელოა. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო დაინტერესებული კომპანიების მონაწილეობით საქართველოში ორ სემინარს ჩაატარებს, რათა ქართველმა მეწარმეებმა ევროკავშირთან ვაჭრობის სპეციფიკა და მოთხოვნები უკეთ გაიცნონ.

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილის შეფასებით, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო წარმატებით ახორციელებს მის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას, ხელი შეუწყოს ევროპასთან ვაჭრობის საკითხებზე ადგილობრივი მეწარმეების ცოდნის ამაღლებას.

საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი პერ ეკლუნდმი ამბობს: "მოხარულები ვართ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოსთან თანამშრომლობით, ვინაიდან გვჯერა, რომ ეს თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტის განხორციელებას - საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის განვითარებას".

ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭოს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ჰოვარდ ჩეისის განცხადებით, "გამოცემული ბროშურები ევროპულ ბაზარზე ორიენტირებული ქართული ექსპორტიორებისათვის სასარგებლო პრაქტიკული სახელმძღვანელო იქნება".

ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭოს დაარსებიდან დღემდე კოტე ზალდასტანიშვილი ხელმძღვანელობს. ზალდასტანიშვილი ამბობს: "ჩვენ მიერ გამოცემული პუბლიკაციები მარტივი და გასაგები ენით არის დაწერილი. გარდა ამისა, ვმართავთ სემინარებს, რომლებიც პოტენციურ ქართველ ექსპორტიორებს ევროკავშირთან ვაჭრობის პრობლემატიკის გაცნობასა და ექსპორტის განხორციელებაში ხელს უწყობს."

დაინტერესებულ პირებს პუბლიკაციის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ როგორც ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭოს, ასევე საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ვებგვერდებზე: www.eugbc.net, www.delgeo.ec.europa.eu

# ჯილდო სტუდენტური ბარათის" მფლობელებს

### საქართველოს ბანკმა" 20 გამარჯვებული გამოავლინა

ნინო ნატროშვილი



საქართველოს ბანკმა გუშინ სტუდენტური ბარათის" მფლობელი ოცი სტუდენტი დააჯილდოვა. სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიალი სასტუმრო ქორთიარდ მერიოტში შედგა და მას საქართველოს ბანკის ადმინისტრაცია და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საქართველოს ბანკმა წელს 25 ათასი სტუდენტური ბარათი გასცა. ამ პროდუქტმა გაამართლა და სტუდენტებმა ახალი პროდუქტი აქტიურად გამოიყენეს. ახლა კი საქართველოს ბანკი იმ სტუდენტებს აჯილდოვებს, რომლებმაც სტუდენტური ბარათი" ყველაზე ხშირად გამოიყენეს. ისინი სამი თვის განმავლობაში სტიპენდიის სახით 100 ლარს მიიღებენ," - განაცხადა ბანკის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა.

ბარათის მფლობელი სტუდენტები შემდეგ ნომინაციებში გამოვლინდნენ: ყველაზე აქტიური" - სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ბარათის ყველაზე ხშირი მოხმარებისათვის (ამ ნომინაციაში ბანკმა შვიდი სტუდენტი დააჯილდოვა); ნომინაციაში ყველაზე ხელგაშლილი" - სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ყველაზე დიდი მოცულობის თანხის დახარჯვისთვისაც შვიდი სტუდენტი დაჯილდოვდა; ნომინაციაში ყველაზე წინდახედული" - საბარათე ანგარიშზე ყველაზე დიდი დანაზოგისათვის ჯილდო ექვსმა სტუდენტმა მიიღო. ამ ნომინაციებში გამარჯვებული ოცივე სტუდენტი საქართველოს ბანკისაგან" სამი თვის განმავლობაში 100 ლარის ოდენობის სტიპენდიას მიიღებს.

დაჯილდოებული სტუდენტების განცხადებით, სტუდენტური ბარათი" საკმაოდ კარგი და აქტუალური პროდუქტია. ამ ბარათზე ერთდროულად დაგროვებაც შეიძლება და ხარჯვაც.

სტუდენტური ბარათი" საქართველოს ბანკმა" 2009 წლის 16 მარტს გამოუშვა. ბარათი სპეციალურად სტუდენტებისთვისაა შემუშავებული და საქართველოს ბანკის", თბილისის მერიის, შპს თბილისის მეტროს" და განათლების სამინისტროს აკრედიტაციის ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში გამოდის.

სტუდენტური ბარათი" ვიზა ელექტრონის კლასის ერთწლიანი პლასტიკური ბარათია, რომელსაც აქვს უკონტაქტო აპლიკაცია და მისი მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის საბანკო ოპერაციის განხორციელება. ამავდროულად სტუდენტები მგზავრობისას ბარათით შპს თბილისის მეტროს" მიერ დაწესებული შეღავათიანი ტარიფით სარგებლობენ. ამ ბარათს იყენებენ ავტობუსშიც. გადახდის ტარიფი გამარტივებულია უკონტაქტო ფორმით. საგულისხმოა ისიც, რომ სტუდენტური ბარათის" ანგარიშზე 100 ლარის, დოლარის და ევროს ზემოთ განთავსებულ დანაზოგს ბანკი არიცხავს წლიურ სარგებელს - ლარში დაგროვილ თანხას წლიურ 10 პროცენტს, ხოლო აშშ დოლარსა და ევროში - წლიურ 7 პროცენტს.

როგორც ბანკის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა განმარტა, ბანკი სამ თვეში ერთხელ გამოავლენს 20 გამარჯვებულ სტუდენტს. სტუდენტური ბარათის მფლობელთათვის ასევე ჩატარდება წამახალისებელი აქციები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში მნიშვნელოვან შეღავათებს მიიღებენ.

# კანონპროექტთა პაკეტის კრიტიკული ხედვა

*პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მიერ მომზადებულ კანონპროექტთა პაკეტს, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, პოლიციის შესახებ კანონში და "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში" შესატან ცვლილებებს გულისხმობს და რომელთა განხილვა-დამტკიცებაც უახლოეს პერიოდში იგეგმება, არასაპარლამენტო ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ექსპერტების შეფასება უკვე მოჰყვა.*
*კანონპროექტებში ჩადებულია არადემოკრატიული ტენდენციები, კანონის გამკაცრება ხელისუფლების გარკვეული პოლიტიკის მაჩვენებელია და მის არადემოკრატიულობასა და არაეფექტურობაზე მეტყველებს, - ასეთია კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებული კრიტიკის შინაარსი.*

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისთვის და შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონისთვის მომზადებული ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში, ფულადი ჯარიმები და მანიფესტაციებისა და აქციების დროს ქუჩის გადაკეტვის წესები გამკაცრდება.

არასაპარლამენტო ოპოზიციის, ზოგიერთი ექსპერტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების განმარტებით, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამკაცრება ქვეყანაში არსებულ გართულებულ სიტუაციას კიდევ უფრო დაძაბავს, რადგან, მათი აზრით, ამ ცვლილებებში ხელისუფლებამ ოპონენტებზე ზეწოლის გაძლიერების მექანიზმები ჩადო.

"ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენლის მანანა ნაჭყებიას განცხადებით, მანიფესტაციების გამართვის თაობაზე, გარკვეული შეზღუდვების დაწესების შემთხვევაში, ოპოზიცია ციხეში მოექცევა, ხელისუფლება კი ხალხის აჯანყებას მიიღებს.

**"მანიფესტაციების გამართვის თაობაზე შეზღუდვების დაწესების ინიციატივა ამ ხელისუფლებისგან არ იყო გასაკვირი იქიდან გამომდინარე, რომ მმართველმა გუნდმა მთელი კანონმდებლობა საკუთარ თავზე მოირგო. ეს ცვლილებებიც, რომლებსაც პარლამენტი ამზადებს, სწორედ იმაზეა გათვლილი, რომ მასშტაბური მანიფესტაციები აღარ გაიმართოს. რაც უფრო დაამახინჯებენ და კასტრირებას გაუკეთებენ ხელისუფლების წარმომადგენლები იმ კანონმდებლობას, რომელიც დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობასთან მიახლოებულია, მით უარესი იქნება მათთვის. საბოლოო ჯამში, მთელი მსოფლიო დაინახავს, რა ტიპის ქვეყანასთან გვაქვს საქმე,"** - აცხადებს მანანა ნაჭყებია.

საკანონმდებლო ორგანოს ოპოზიციონერი დეპუტატის გია ცაგარეიშვილის შეფასებით, თუკი მომზადებული ცვლილებები კანონში მართლაც შევა, ამით

სამართლებრივი დარღვევების დაკანონება მოხდება. მისივე თქმით, **"ის ადამიანები, რომლებიც ამ საკანონმდებლო ცვლილებებს ხმას მისცემენ, სამოქალაქო უბედურების მოსურნენი იქნებიან, რადგან მსგავსი კანონების მიღება მხოლოდ ფაშისტური რეჟიმის დროს ხდებოდა."**

ექსპერტ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, ხელისუფლების ინიციატივით მომზადებული ცვლილებები პრობლემას ვერ გადაჭრის.

**"თუ მოსახლეობას ანგარიშს არ გავუწევთ, ის ბოლოს და ბოლოს კანონს გადააბიჯებს. ეს საკანონმდებლო ცვლილებები არ არის პრობლემის გადაწყვეტა, ესაა მდუღარე ქვაბისთვის თავის დახურვა, რაც შეიძლება აფეთქებით დასრულდეს,"** - ამბობს საყვარელიძე.

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის ხელმძღვანელის ლია მუხაშავრიას განცხადებით, ევროკონვენციის მიხედვით, ქუჩის მიტინგები და მანიფესტაციები კანონით უნდა რეგულირდებოდეს და, თუ საქართველოს პარლამენტის მიერ შეთავაზებული ახალი კანონპროექტი სავსებით დააკმაყოფილებს საერთაშორისო ნორმებს, ამაში ცუდი არაფერი იქნება.

**" ახლა ხელისუფლება ცდილობს, კანონით დაარეგულიროს მანიფესტაციები, მაგრამ ვნახოთ, ეს ცვლილება როგორ შედეგს გამოიღებს რეალობაში, დაველოდოთ იმას, თუ როგორ გამოიყენებს ამას ხელისუფლება პრაქტიკაში. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ფუნდამენტურ უფლებებს დაარღვევს, მაშინ მე პირადად ამ კანონპროექტს ევროსასამართლოში გავასაჩივრებ,"** - აცხადებს ლია მუხაშავრია.

რესპუბლიკელი დავით უსუფაშვილი საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში, ქვეყანაში პოლიტიკური მუხტის გაზრდას ელოდება.

**მახსენდება 2003 წლის გაზაფხულ-ზაფხული, როდესაც აგონიაში მყოფმა შევარდნაძემ მიტინგების და დემონსტრაციების თავისუფლების შეზღუდვა განიზრახა და საკანონმდებლო ინიციატივით შევიდა პარლამენტში. ეს რა შედეგითაც დასრულდა შევარდნაძისთვის, გვახსოვს. თუკი ახლანდელი ხელისუფლება თავისუფლებების შემდგომი შეზღუდვების გზას დაადგება, ეს მხოლოდ მის დასასრულს დააჩქარებს,"** - აცხადებს დავით უსუფაშვილი.

*საკუთარი ინფორმაცია*

# პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ორი სარჩელი სასამართლოში

*ხელისუფლებისა და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის დაპირისპირებამ სასამართლოში გადაინაცვლა. თბილისის საქალაქო სასამართლომ "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერ ნინო ბურჯანაძის ორი სარჩელის განხილვა დაიწყო. ორივე საქმეზე გუშინ მოსამზადებელი სხდომები ჩატარდა.*

ერთი სარჩელით, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებას აპროტესტებს, რომლის თანახმადაც, მას გადასახადის გადაუხდელობის გამო სოლიდური ჯარიმა დაეკისრა.

საუბარია სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად შეძენილ წყნეთის აგარაკზე, რომლის თაობაზეც, კარგა ხნის განმავლობაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო. თავის დროზე, არასაპარლამენტო ოპოზიცია ირწმუნებოდა, რომ პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს წყნეთის აგარაკი პრეზიდენტმა აჩუქა.

საქმე ისაა, რომ დეკლარაციის შეუვსებლობისა და ქონების გადასახადის გადაუხდელობის გამო, ფინანსთა სამინისტრომ ბურჯანაძეს მილიონნახევარი ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა.

როგორც ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, შესაბამისი კანონის მიხედვით, ბურჯანაძეს მიმდინარე წლის 1 აპრილამდე საშემოსავლო დეკლარაცია უნდა შეევსო და აღნიშნული აგარაკის საბაზრო ღირებულების 12 პროცენტი უნდა გადაეხადა.

**"ბურჯანაძემ ქონების დეკლარირება არ მოახდინა და გადასახადი არ გადაიხადა, შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრომ მას უჩივლა და სასამართლომ ბურჯანაძეს აგარაკის მთლიანი ღირებულების 12 პროცენტთან ერთად, ჯარიმის გადახდა დააკისრა, რაც საერთო ჯამში, დაახლოებით მილიონნახევარ ლარამდე აღწევს,** - განმარტავენ ფინანსთა სამინისტროში.

პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ამ გადაწყვეტილებას სასამართლოში შეტანილი სარჩელით უპასუხა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე, მოპასუხე მხარემ ახალი დოკუმენტები წარადგინა. ნინო ბურჯანაძის ინტერესების დამცველმა გოჩა სვანიძემ კი დოკუმენტების გაცნობისთვის ვადა მოითხოვა. ამ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესი 8 ივნისს განახლდება.

რაც შეეხება "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერის მეორე სარჩელს - პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე საკანონმდებლო ორგანოს უჩივის და პრეზიდენტის 2009 წლის 5 იანვრის განკარგულების გაუქმებას მოითხოვს, რომლის საფუძველზეც, მას სახელმწიფო დაცვა შეუმცირდა. ნინო ბურჯანაძე მისთვის სახელმწიფო დაცვის აღდგენას მოითხოვს. გუშინდელ სასამართლო პროცესზე მოსამართლემ მხარეთა შუამდგომლობები მოისმინა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# სასამართლომ ჯოზეფ ქეი პატარკაციშვილის ანდერძის აღმსრულებლად ცნო

*ბადრი პატარკაციშვილის ქონების აღმსრულებლობისთვის მიმდინარე ხანგრძლივი სასამართლო დავა ჯოზეფ ქეის სასარგებლოდ დასრულდა.*

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 1 ივლისს გამოტანილი განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა. განჩინების თანახმად, ჯოზეფ ქეი ცნობილი იქნა არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის ანდერძის აღმსრულებლად. გარდაცვლილი ბიზნესმენის ცოლსა და შვილებს - ინა გუდავაძეს, ია პატარკაციშვილს, ლიანა ჟმოტოვას, ნათელა პატარკაციშვილს, ოლგა საფონოვასა და დავით პატარკაციშვილს აეკრძალათ ჯოზეფ ქეისათვის, როგორც ანდერძის აღმსრულებლისთვის, მისი უფლება-მოვალეობების შესრულებაში ხელის შეშლა. გარდა ამისა, სასამართლოს განჩინებით, ჯოზეფ ქეის უარი ეთქვა არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის სამკვიდროს მმართველად აღიარებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში ნათქვამია, რომ: სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნის შესაძლებლობას მოანდერძის მიერ. თავის მხრივ, ანდერძის აღმსრულებელი ვალდებულია, მოანდერძის ნება აღასრულოს და მემკვიდრეთა მიერ ანდერძით სამკვიდროს მიღება უზრუნველყოს მოანდერძის ნების შესაბამისად. ამასთან, კანონმდებლობა ანდერძის აღმსრულებლის პასუხისმგებლობის საკითხსაც კი ითვალისწინებს თავის მოვალეობის შეუსრულებლობისთვის.

განსახილველ შემთხვევაში, ანდერძის - "ნების გამოვლენის წერილი" და "აქტი სამკვიდროს აღმსრულებელ მმართველად დანიშვნის შესახებ" (ხელმოწერილი არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის მიერ 2007 წლის 14 ნოემბერს საჯარო ნოტარიუს ალექსანდერ ფიშკინისა და ორი ოფიციალური მოწმის, ზლატა სტეპანენკოსა და ვლადლენა ფუნკის, თანდასწრებით) - მიხედვით, ჯოზეფ ქეი არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის ანდერძის აღმსრულებლად დაინიშნა.

აღნიშნულ ფაქტს, კერძოდ, არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის ნებას, რომ ჯოზეფ ქეიმ, როგორც ანდერძის აღმსრულებელმა, უზრუნველყოს ანდერძით მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო ქონების მიღება, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო.

ამდენად, ჯოზეფ ქეი არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის ნების შესაბამისად იქნა აღიარებული ანდერძის აღმსრულებლად და, სწორედ ამ ნების უზრუნველსაყოფად, ანდერძით მემკვიდრეებს მისთვის უფლება-მოვალეობების შესრულების ხელშეშლა აეკრძალათ, - ნათქვამია სააპელაციო სასამართლოს განმარტებაში.

## დეპუტატის მოთხოვნა

დეპუტატი ჯონდი ბაღათურია პატიმრების ვადაზე ადრე გათავისუფლებისთვის დაწესებული ვადების შემცირებას ითხოვს. მოქმედი კანონმდებლობით, პატიმრები პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებით იმ შემთხვევაში სარგებლობენ, თუ ისინი სასჯელს მსუბუქი დანაშაულისთვის იხდიან და ამასთან, სასჯელის ნახევარი აქვთ მოხდილი. ბაღათურია კი, სწორედ სასჯელის მოხდილი ვადის შემცირების წინადადებით გამოდის და ითხოვს, პატიმრებს ვადაზე ადრე გათავისუფლების უფლება სასჯელის ერთი მესამედის მოხდის შემდეგ მიეცეთ.

"ეს უფლება უნდა ჰქონდეთ მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულ პირებსაც, თუმცა მაშინ, როცა მათ სასჯელის ნახევარი ექნებათ მოხდილი," - აცხადებს ბაღათურია. მოქმედი კანონით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულ პირებს ვადაზე გათავისუფლების უფლებით სარგებლობა შეუძლიათ მაშინ, როცა სასჯელის სამი მეოთხედი აქვთ მოხდილი.

ჯონდი ბაღათურიას უკვე მომზადებული აქვს სათანადო კანონპროექტი, რომელიც "სისხლის სამართლის კოდექსში" ცვლილებების შეტანას გულისხმობს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## სამართალდამცველებმა მუჟავაში დივერსანტების ბილიკს მიაგნეს

წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში ქართველმა სამართალდამცველებმა იმ ბილიკს მიაკვლიეს, რომლითაც დაუდგენელი პირები აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოდიოდნენ და დივერსიებს აწყობდნენ.

როგორც წალენჯიხის რაიონის გამგებელმა მამუკა ქარდავამ განაცხადა, აღნიშნულ ბილიკს ამ დროისთვის ქართველი სამართალდამცავები იცავენ და წალენჯიხის რაიონის პოლიცია მობილიზებულია, რათა მსგავსი ფაქტი არ განმეორდეს.

როგორც გამგებელმა აღნიშნა, აფეთქების შედეგად დაზიანებული კავკასიონის" მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენითი სამუშოები დაახლოებით 10 დღეში დასრულდება.

მამუკა ქარდავამ აფეთქების ადგილები და ელექტროგადამცემ ხაზზე აღდგენითი სამუშაოები თავად დაათვალიერა. წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში რამდენიმე აფეთქება მოხდა. ერთ-ერთი აფეთქება კი ელექტროგადამცემ ხაზზე განხორციელდა, რომლის დროსაც 500-კილოვოლტიანი ხაზი დაზიანდა. მუჟავაში აუფეთქებელი ბომბიც აღმოაჩინეს.

*მედიანიუსი*

## მტკვარში დამხრჩვალი დებიდან ერთ-ერთი ნაპოვნია

მტკვარში დამხრჩვალი დებიდან ერთ-ერთის, უფროსი დის თამუნა ჯეგიძის ცხედარი ნაპოვნია. მდინარიდან ცხედარი მაშველებმა გვიან ღამით ამოიყვანეს.

გარდაცვლილი ჯერ ექსპერტიზისთვის რუსთავის პროზექტურაში, შემდეგ კი, ფონიჭალაში, საკუთარ სახლში გადაასვენეს. ამ დრომდე ვერ ხერხდება მეორე დის - ხათუნა ჯეგიძის ცხედრის პოვნა. დები თამუნა და ხათუნა ჯეგიძეები მტკვარმა მას შემდეგ წაიღო, რაც ისინი მდინარეში მათი 12 წლის ძმისშვილის გადასარჩენად შევიდნენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## მოთხოვნა შსს-ს გენინსპექციას

პოლიტიკური გაერთიანება მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, იმ პოლიციელთა მონაცემებს (სახელი, გვარი, სამსახურებრივი თანამდებობა) ითხოვს, რომლებიც 2009 წლის 15 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარ სამმართველოსთან მომხდარი დარბევის გამო დაისაჯნენ. როგორც მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის პრესსამსახურიდან აცხადებენ, შესაბამისი განცხადებით, მათ 2009 წლის 30 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართეს.

როგორც ცნობილია, 15 ივნისს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, სამართალდამცველების განცხადებით, რამდენიმე პოლიციელი დაისაჯა. ნაწილს საყვედური გამოეცხადა, ნაწილი კი სამსახურიდან გათავისუფლდა.

*ინტერპრესნიუსი*



მშობლები ხვიჩა და მზია ხაჩიძეები, და მარიამ ხაჩიძე, სიძე ლაშა პიტნავა და დისშვილი ანასტასია პიტნავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**შალვა ხვიჩას ძე ხაჩიძის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 3, 4 ივლისს, 17 სთ.
დაკრძალვა: 5 ივლისს, 14 სთ.
**მისამართი: ხაშურის რაიონი, სოფელი ნაცარგორა.**

# სიახლეები განათლებასა და მეცნიერებაში

## ივნისი, 2009



## მთავარი სიახლეები

- 2009-2011 წლებში საქართველოში 22 ახალი სკოლა ახალი სამშენებლო სტანდარტებით აშენდება;
- მოსწავლეთა საფეხბურთო ტურნირში - "სკოლბურთი" წალენჯიხის რ-ნის სოფელ ლიას საჯარო სკოლამ გაიმარჯვა;
- "ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების" პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის საზაფხულო სკოლებში 1000 მოსწავლე გაემგზავრა;
- შავი ზღვის მეორე საერთაშორისო კონფერენცია „საერთაშორისო კვლევები და საგანმანათლებლო სტანდარტები" გაიმართა

*ზოგადი განათლება*

### გორის №7 საჯარო სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება

მინისტრმა ნიკა გვარამიამ და "საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა ქ. გორის №7 საჯარო სკოლის აღსადგენად ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გააფორმეს. მემორანდუმის თანახმად, "საქართველოს ბანკის" "კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდის" მიერ ქ. გორის მე-7 საჯარო სკოლის აღდგენისთვის 404 000 ლარი დაიხარჯება და სრულად რეაბილიტირებული იქნება სკოლის ორი კორპუსი. აღდგენითი სამუშაოები 2009 წლის ოქტომბრისათვის დასრულდება. გორის №7 საჯარო სკოლა ერთ-ერთი ყველაზე დიდი სკოლაა ქ. გორში.

### განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ პროექტ „წიგნის მეგობრების" მონაწილეებს სერთიფიკატები გადასცა

საპილოტე პროექტი "წიგნის მეგობარი" თბილისის 4 სკოლაში ინერგება და მასში 300-მდე უმცროსკლასელია ჩართული. პროექტის მიზანია, ბავშვებს განუვითაროს კითხვის, მოსმენისა და წაკითხულის გააზრების უნარები, ხელი შეუწყოს წიგნიერების და კითხვის პოპულარიზაციას. პროექტის კონცეფციის მიხედვით, უფროსკლასელები, სტუდენტები, მწერლები და სხვა მოხალისეები უმცროსკლასელებს უკითხავენ კლასგარეშე ლიტერატურას, რის შემდეგაც იმართება დისკუსია წაკითხული მასალის ირგვლივ. სექტემბრიდან პროექტში ყველა ის სკოლა ჩართვება, რომელიც მასში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს.
პროექტს "წიგნის მეგობარი" განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს.

### მოსწავლეთა საფეხბურთო ტურნირში - "სკოლბურთი" წალენჯიხის რ-ნის სოფელ ლიას საჯარო სკოლამ გაიმარჯვა

საფეხბურთო ტურნირი მოსწავლეთა შორის საქართველოს მასშტაბით უკვე მესამე წელია ტარდება. წელს სკოლბურთში საქართველოს მასშტაბით 700-ზე მეტი სკოლა და 8000-მდე მოსწავლეა ჩართული. "სკოლბურთის" მიზანი ფეხბურთის პოპულარიზაცია და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაა.
ფინალურ შეხვედრა ქ. ბათუმში სტადიონ "ადელზე" ჩატარდა. ფინალში წალენჯიხის და ჩხოროწყუს გუნდები ასპარეზობდნენ, ხოლო ჩემპიონის ტიტული წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას საჯარო სკოლამ მოიპოვა. გამარჯვებული გუნდი საერთაშორისო საფეხბურთო ფესტივალზე გაემგზავრება, რომელიც წელს თურქეთში გაიმართება.
ტურნირის ორგანიზატორები არიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

### 2009-2011 წლებში საქართველოში 22 ახალი სკოლა ახალი სამშენებლო სტანდარტებით აშენდება

ახალი სამშენებლო სტანდარტები და სასკოლო ინფრასტრუქტურა სასწავლო პროცესთან შესაბამისი, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული, უსაფრთხო გარემოზე ორიენტირებული იქნება. ეს გულისხმობს ახალი სასკოლო ინფრასტრუქტურის მორგებას და ადაპტირებას სკოლის საჭიროებებთან. სტანდარტები ქალაქის თუ სოფლის ყველა რეაბილიტირებულ და ახლადაშენებულ სკოლაში დაინერგება, რითაც იდენტური გარემო იქნება უზრუნველყოფილი საქართველოს ყველა მოსწავლისთვის. ეს საკითხები მინისტრმა ნიკა გვარამიამ ექსპერტ-არქიტექტორების სპეციალურ ჯგუფთან შეხვედრისას განიხილა, რომლებმაც სკოლის სტანდარტებისა და საპროექტო მოთხოვნების შექმნაზე უკვე იმუშავეს და რეკომენდაციები მოამზადეს. თანამედროვე სკოლის სტანდარტების შექმნაში უცხოელი ექსპერტებიც ჩაერთვებიან.

### საერთაშორისო კონკურსის "ალიანტე" ფინალისტები განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პორტატული კომპიუტერებით დააჯილდოვა

საერთაშორისო კონკურსი "ალიანტე" ნატოს სათაო ოფისის და ნატოს წევრი ქვეყნების ხელშეწყობით უკვე მეცხრე წელია ტარდება. კონკურსში მონაწილეობს ნატოს წევრი 14 ქვეყანა. საქართველო და უკრაინა, როგორც ნატოს პარტნიორი ქვეყნები, კონკურსს 2008 წელს შეუერთდნენ.
კონკურსის მიზანია მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება უსაფრთხოების საკითხებისა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შესახებ, ასევე ისტორიაში, გეოგრაფიასა და პოლიტიკაში. "ალიანტეში" 15-დან 19 წლამდე ასაკის მოსწავლეები და სტუდენტები მონაწილეობენ. წელს 1480 გუნდიდან 536 ქართულია. საერთაშორისო ფინალში, რომელიც 29 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით ლიტვაში გაიმართება, 12 ქართველი მოსწავლე მონაწილეობს.
საერთაშორისო კონკურსს "ალიანტე" საქართველოში ახორციელებს "ახალი თაობა – ახალი ინიციატივა", რომელიც ნატოს საინფორმაციო ცენტრის პარტნიორი ორგანიზაციაა. კონკურსი თავდაცვის სამინისტროს, განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის მერიის და ჩეხეთის საელჩოს მხარდაჭერით ტარდება.

### განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია დაბა წყნეთში ინგლისური ენის საზაფხულო სკოლას ეწვია, სადაც მოსწავლეები ინგლისური ენის შემსწავლელ 3 კვირიან ინტენსიურ კურსს გადიან

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით "ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების" პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის საზაფხულო სკოლებში 1000 მოსწავლეა ჩართული.

ენის საზაფხულო სკოლებში მე-8 მე-9, მე-10, და მე-11 კლასელი 1000 მოსწავლე საგნობრივ ოლიმპიადებსა და სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებულები არიან და გააჩნიათ ინგლისური ენის საბაზო ცოდნა.
2009 წლის 22 ივნისიდან 25 აგვისტომდე საქართველოს მასშტაბით სამი ბაზა (წყნეთში, ბაკურიანსა და წყალტუბოში) სამ ნაკადად უმასპინძლებს მოსწავლეებს. თითოეულ ბაზაზე ყოველ ნაკადში საშუალოდ 112 მოსწავლე მონაწილეობს.
საზაფხულო ბანაკებში მონაწილე 1000 მოსწავლიდან 50 საუკეთესო გაერთიანებულ სამეფოში 2 კვირიან ენის კურსებზე გაემგზავრება.

*პროფესიული განათლება*

### საქართველოში პროფესიულ განათლებაში ხარისხსა და მენეჯმენტთან დაკავშირებულ საკითხებს ორდღიანი სამუშაო შეხვედრა მიეძღვნა

ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრში, საქართველოში პროფესიულ განათლებაში ხარისხსა და მენეჯმენტთან დაკავშირებულ თანამედროვე მიდგომებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სემინარი ევროპის განათლების ფონდის (ETF) ორგანიზებით მოეწყო და მასში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული განათლების სფეროს, ევროპის განათლების ფონდისა და ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენლებმა. შეხვედრა მიზნად ისახავდა სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელთა და პროფესიული განათლების დაწესებულებების წარმომადგენელთათვის პროფესიულ განათლებაში ხარისხის მნიშვნელობის გაცნობას.

*კონფერენციები*

### შავი ზღვის მეორე საერთაშორისო კონფერენციია გაიმართა

ქობულეთში გამოცდების ეროვნული ცენტრის ინიციატივით, განათლების საკითხებისადმი მიძღვნილი შავი ზღვის მეორე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის „საერთაშორისო კვლევები და საგანმანათლებლო სტანდარტები" მიზანი იყო კვლევებზე დაფუძნებული გამოცდილების გაზიარება და ინოვაციების დანერგვა.
კონფერენციაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს წამყვანი საგანმანათლებლო ორგანიზაციები: საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორსიო ასოციაცია (IEA), საგანმანათლებლო პროგრესის ინსტიტუტი, ტესტირებისა და შეფასების ეროვნული ინსტიტუტი (NITE), ხარისხისა და კურიკულუმების ცენტრი (QCA), შეფასებისა და სტატისტიკის ინსტიტუტი, ჰოლანდიის ტესტირების ორგანიზაცია, ბოსტონის კოლეჯი, ჰუმბოლტის უნივერსიტეტი, გოტებურგის უნივერსიტეტი, რომის უნივერსიტეტი და სხვ.
კონფერენციას განათლების სფეროს 30–ზე მეტი საერთაშორისო ექსპერტი დაესწრო მსოფლიოს 15 ქვეყნიდან: დიდი ბრიტანეთი, აშშ, შვედეთი, ნიდერლანდები, იტალია, ისრაელი, გერმანია, ლიტვა, ესტონეთი, ბოცვანა, ბულგარეთი, უნგრეთი, თურქეთი, უკრაინა, ყირგიზეთი.

*მეცნიერება*

### სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ახალგაზრდა მეცნიერთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა

მინისტრმა ნიკა გვარამიამ პრეზიდენტის გრანტის მფლობელი 55 ახალგაზრდა მეცნიერი და ივანე ბერიტაშვილისა და ილია ვეკუას სახელობის 15 სტიპენდიანტი დააჯილდოვა. ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილისა და ილია ვეკუას სტიპენდიები 35 წლამდე ახალგაზრდა მეცნიერზე ერთი წლის ვადით ყოველთვიურად გაიცემა (სტიპენდიის ოდენობა თვეში 200 ლარია). ამისთვის ბიუჯეტიდან 36 000 ლარი დაიხარჯა.
გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და პროგრამის ადმინისტრირებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სამეცნიერო ფონდი უკვე მესამე წელია ახორციელებს.
ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების თითოეული პროექტის მაქსიმალური ოდენობა წელიწადში 15 000 ლარია. მეცნიერებს შესაძლებლობა ეძლევათ ინდივიდუალური სამეცნიერო პროექტის ფარგლებში ჩაატარონ კვლევები, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის საერთაშორისო ფორუმში, შეიძინონ სამეცნიერო და საოფისე აპარატურა და სხვ.

*უმაღლესი განათლება*

### ევროკავშირის დაფინანსებით საქართველოში "საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტი" იწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არის პირველი საჯარო უწყება საქართველოში, რომელიც გერმანიის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან და საფრანგეთის პედაგოგიური სწავლების საერთაშორისო ცენტრთან ერთად იწყებს ერთობლივ პროექტს: "საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისა და ადამიანური რესურსების გაძლიერება ბოლონიის პროცესის რეფორმების განსახორციელებლად". პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის გაუმჯობესებას და ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში მის ინტეგრაციას. პროექტის განხილვა სასტუმრო " შერატონ მეტეხი პალასში" მოეწყო.
საჯარო სამსახურების დამმობილების პროგრამის ფარგლებში განათლების და მეცნიერების სამინისტრო ორი პარტნიორი ქვეყნის ანალოგიურ უწყებებთან ითანამშრომლებს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს საჯარო სამსახურის მოდერნიზაცია, შემუშავდება სწავლებისა და რეორგანიზაციის ახალი მეთოდები. პროექტი 2 წლიანია და ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ/ფაქსი: 438 819 ელ.ფოსტა: pr@mes.gov.ge

# ამერიკელები ავღანეთში მსხვილმასშტაბიან ოპერაციას ატარებენ

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დაიწყეს სერიოზული ოპერაცია თალიბების წინააღმდეგ პროვინცია გილმენდში, ავღანეთის სამხრეთ ნაწილში. ოპერაციაში მონაწილეობს, დაახლოებით, ოთხი ათასი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი, აგრეთვე 650 ავღანელი სამხედრო მოსამსახურე. ბრიგადის გენერალ ლარი ნიკოლსონის სიტყვებით, ეს ოპერაცია შენაერთების დიდი რაოდენობით და სისწრაფით ყველა წინამორბედისგან განირჩევა. სამხედრო მეთაურები აცხადებენ, რომ ეს საზღვაო ქვეითების ყველაზე მსხვილი ოპერაციაა ვიეტნამის ომის შემდეგ. ის ხუთშაბათს ადრიანად დაიწყო, როდესაც შენაერთები მდინარე გილმენდის ხეობაში შევიდნენ. მასში, სატრანსპორტო საშუალებების გარდა, შვეულმფრენებიც მონაწილეობენ, საჰაერო მხარდაჭერას კი ნატო-ს თვითმფრინავები ახორციელებენ.

ავღანეთის სამხრეთი რაიონები თალიბების დასაყრდენად მიიჩნევა. გენერალ ნიკოლსონის განცხადებაში ნათქვამია, რომ "სადაც ჩვენ შევალთ, ჩვენ იქვე დავრჩებით, იმ ტერიტორიას გავამაგრებთ და ვიმუშავებთ იმაზე, რომ შემდეგ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ავღანურ ძალებს გადავცეთ." ნიკოლსონი ჯერ კიდევ წინა კვირაში ამერიკულ სამხედრო ბანაკში გამართულ ბრიფინგზე აცხადებდა, რომ "ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა ადგილობრივი მოსახლეობისთვის იმის ახსნა, თუ რატომ ვართ აქ." მისი სიტყვებით, სამხედროებს არც ისე ბევრი საშუალება ექნებათ მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად. სააგენტო "ფრანს-პრესის" ინფორმაციით, ოპერაციის პირველი სტადია - პირველი 36 საათი, ძალიან აგრესიულად ჩატარდება.




გენერალ ნიკოლსონის სიტყვებით, ოპერაციის მთავარი გრძელვადიანი მიზანია, გაზარდონ უსაფრთხოების დონე საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რომელიც 20 აგვისტოს არის დანიშნული. მათ ხალხს საშუალება უნდა მისცენ, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია გაიარონ, რაც იქ ადრე არასდროს მომხდარა.

ამერიკელი სამხედროების წარმომადგენელმა, კაპიტანმა უილიამ პელეტიერმა "ბი-ბი-სი"-სთან საუბარში განაცხადა, რომ ოპერაციის პირველ საათებში მტერთან შეტაკება არ მომხდარა, მაგრამ ერთი საზღვაო ქვეითი თვითნაკეთი ბომბის აფეთქებისას მსუბუქად დაიჭრა. კაპიტნის სიტყვებით, ამერიკელმა ჯარისკაცებმა წინასწარ იციან, რომ მსხვერპლი მოსალოდნელია, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ "დაუშვებელია მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ზიანის მიყენება". საერთოდ, ავღანეთში მშვიდობიან მოსახლეობაში ამ ბოლო თვეებში ბევრი მსხვერპლი იყო, ეს ვაშინგტონში პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაისა და პრეზიდენტ ობამას განხილვის საგნადაც იქცა. ამერიკელებმა უმაღლეს დონეზე განაცხადეს, რომ ოპერაციების დროს ამ საკითხს სერიოზულ ყურადღებას დაუთმობენ. ამჟამადაც ვაშინგტონში ოფიციალურად განაცხადეს, რომ ჯარებისთვის ნაბრძანები აქვთ, არ დაუშვან მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. ხალხისთვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში ბოევიკების დევნა უნდა შეჩერდეს. ამერიკელმა ოფიცრებმა არ უნდა გამოიძახონ საჰაერო მხარდაჭერა და მთლიანად არ უნდა დაცხრილონ უბრალო მოქალაქეების საცხოვრებელი სახლები, რომლებშიც თალიბები იმყოფებიან. მათ ბოევიკების განსადევნად სხვა მეთოდები უნდა გამოიყენონ.

პროვინცია გილმენდის გუბერნატორ გულიაბ მანგალს იმედი აქვს, რომ ეს ოპერაცია ძალიან ეფექტიანი იქნება. "სამხედროები შექმნიან ბაზებს ადგილობრივი მცხოვრებების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რათა მათ შეძლონ მშვიდობიანად ცხოვრება და ნორმალურ პირობებში მუშაობა."

2009 წლის ივნისის მონაცემებით, ნატო-ს ჯარები ავღანეთში 42 ქვეყნის 61 130 სამხედრო მოსამსახურისგან შედგება. მასში შედიან ამერიკის, ევროპის ქვეყნების, ასევე ავსტრალიის, იორდანიისა და ახალი ზელანდიის კონტინგენტები. ყველაზე მსხვილი დაჯგუფება ამერიკულია - 28 850 ჯარისკაცი. გარდა ამსა, ავღანეთის აღმოსავლეთში, პაკისტანის საზღვართან განთავსებულია ამერიკელების დამატებითი 17-ათასიანი კონტინგენტი, რომელიც ნატო-ს სარდლობას არ ემორჩილება. ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა დამატებით 21 ათასი კაცის გაგზავნას აპირებს ავღანეთში, რომლებიც თალიბების წინააღმდეგ იბრძოლებენ და ავღანეთს მათი სამხედროების მომზადებაში დაეხმარებიან. ამ სამხედროების უმრავლესობა იქ ერაყიდან გადავა.

პროვინცია გილმენდში ბრიტანელი სამხედროებიც არიან. წინა კვირაში ბრიტანეთის ჯარების მეთაურმა ავღანეთში, გენერალმა ჯომ დატონმა უარყო მოსაზრებები იმის შესახებ, რომ თალიბებთან ბრძოლა ნაგებისთვის არის განწირული. იგი მიესალმა ამერიკელების გადაწყვეტილებას კონტინგენტის გაზრდის შესახებ და განაცხადა, რომ დამატებითი ამერიკული შენაერთების ჩასვლა გააუმჯობესებს უსაფრთხოებას ავღანეთში.

*"ბი-ბი-სი"-ს მიხედვით მოამზადა ივა შილაკაძემ*

# ახმედ ზაკაევს ჩეჩნეთში კვლავ ელოდებიან?

ივა შილაკაძე

სააგენტო "ფრანს პრესმა" ადამიანის უფლებათა დამცველი ნორვეგიული ორგანიზაციის - "ფორუმი მშვიდობისთვის ჩეჩნეთში" ხელმძღვანელ აივარ ამუნდსენზე დაყრდნობით ორი დღის წინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ამ კვირაში ოსლოში შედგა ჩეჩნეთის პრომოსკოვური ადმინისტრაციის წარმომადგენლის, კერძოდ პარლამენტის სპიკერ აბდურახმანოვის შეხვედრა ახმედ ზაკაევთან. გუშინ "იტარ-ტასის" კორესპონდენტთან საუბარში აბდურახმანოვმა ეს ფაქტი უარყო. მან განაცხადა, რომ გროზნოში იმყოფება, პარლამენტის სხდომას ატარებს, ამ დღეებში გროზნოდან არსად გასულა და მოლაპარაკებაც არავისთან გაუმართავს. მას არ დაუზუსტებია, ჩეჩნეთის ხელისუფლებიდან სხვა თუ შეხვდა ზაკაევს. რამზან კადიროვის პრესმდივანმა ალვი კარიმოვმა "ბი-ბი-სი -სთან საუბარში ეს ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა. პარლამენტის პრესსამსახურში კი კომენტარისგან თავი შეიკავეს. თავის მხრივ, აივარ ამუნდსენი ამტკიცებს, რომ შეხვედრა ნამდვილად შედგა, ის თვითონ მონაწილეობდა ამ შეხვედრაში როგორც შუამავალი და საუბარიც კონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ისაუბრეს ჩეჩნეთში სიტუაციის სტაბილიზაციის გრძელვადიან პერსპექტივებზე და საუბარს იქჭერიის განდევნილი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ოსმან ფერზაულიც ესწრებოდა. ამუნდსენის მიერ პირველ ივლისს გაკეთებული განცხადების მიხედვით, მოლაპარაკება გუშინ, 2 ივლისს უნდა განახლებულიყო, მაგრამ მას შეხვედრის ზუსტი ადგილი არ დაუსახელებია. ამუნდსენი ამ მოლაპარაკებებს მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რადგან ის კადიროვის და შესაბამისად კი მოსკოვის მიერ არის სანქცირებული.




ახმედ ზაკაევს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ოფიციალური და ღია კონტაქტი 2001 წლის 19 ნოემბრის შემდეგ არ ჰქონია (მაშინ ის აეროპორტ შერემეტიევოში რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელს სამხრეთის ფედერალურ ოკრუგში ვიქტორ კაზანცევს შეხვდა).

ახმედ ზაკაევი, ყოფილი მსახიობი და სავულე მეთაური, შემდეგ კი ჯოხარ დუდაევისა და ასლან მასხადოვის მთავრობებში ვიცე-პრემიერი, 2002 წლიდან ევროპაში ჩეჩენი სეპარატისტების წარმომადგენელია და ლონდონში ცხოვრობს. რუსეთში მასზე სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით არის აღძრული: შეიარაღებულ ამბოხში მონაწილეობა; უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და მათი ხელმძღვანელობა; სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა სიცოცხლის ხელყოფა. რუსეთი მას ინტერპოლის საშუალებით ეძებს, მაგრამ 2003 წელს ლონდონის სასამართლომ რუსეთს ზაკაევის გადაცემაზე უარი უთხრა და მას პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. ბრიტანელი მოსამართლის აზრით, მოსკოვი ვერ ასაბუთებს, რომ ზაკაევი კონკრეტულ დანაშაულში მონაწილეობდა. გარდა ამისა, ის მოსკოვში ოფიციალურად იმყოფებოდა ჩეჩნეთის პირველი ომის შემდეგ, რომელ პერიოდსაც ემთხვევა მის მიმართ წაყენებული ბრალდებები. ამიტომ, თუ მოსკოვს რამე ხელშესახები ჰქონდა, ზაკაევი მაშინ უნდა დაეპატიმრებინა.

ზაკაევთან ბოლო პერიოდში კონფიდენციალურ ვითარებაში ჩეჩნეთის ამჟამინდელი პრომოსკოვური ხელმძღვანელობის წარმომადგენლების შეხვედრებმა უჩვეულოს და სენსაციურს ვერაფერს ხედავენ კავკასიის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები. რამზან კადიროვმა წელს ორჯერ - 9 თებერვალს და 3 მარტს ოფიციალურად შესთავაზა ზაკაევს ჩეჩნეთში დაბრუნება. იგი ზაკაევის დასაქმებას კულტურის სამინისტროში აპირებს (ალბათ, მინისტრის რანგში). რუსეთის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ანატოლი საფრონოვმა მაშინ ასევე განაცხადა, რომ "ზაკაევისთვის რუსეთში გზა დაკეტილი არ არის". ზაკაევმა უარი იმ მოტივით თქვა, რომ მისთვის მთავარია ჩეჩნეთის მომავალი და არა პირადი მდგომარეობის მოგვარება. ისე, მსგავსი შეთავაზები სეპარატისტების სხვა წარმომადგენლებმაც მიიღეს და ზოგი კიდეც დათანხმდა.

კადიროვმა ეკეუროვზე თავდასხმის შემდეგ ბოევიკების განადგურებაზე საუბრისას განაცხადა, რომ ზაკაევს ჯერ კიდევ აქვს ფიქრის დრო, ხოლო თუ ის მონეგავს არ მიიღებს, შემდეგ თვითონაც დაუხურავს კარს და მას რეკომენდაციას აღარ გაუწევს.

ისე, ზაკაევის ჩეჩნეთში დაბრუნებას, ძირითადად, პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება და კადიროვის გამარჯვებად ჩაითვლება, მაგრამ რეალურ პროცესებზე გავლენას ვერ მოახდენს. მიუხედავად იმისა, რომ იჩქერიის პარლამენტის დეპუტატებმა ზაკაევი განდევნილი მთავრობის პრემიერად დანიშნეს, ზაკაევს რეალურად გავლენა არ აქვს შეიარაღებულ იატაქქვეშეთზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისი და დოკუ უმაროვის გზები გაიყო. ამ უკანასკნელმა იჩქერიის რესპუბლიკა გააუქმა და თავი კავკასიის იმარატის პრეზიდენტად გამოაცხადა.

## კომენტარები მთავარზე



# ჟანგბადი

ლაშა ბუღაძე

მე მგონი, მართლაც ასეა:

საქართველოში ოთხი რამეა მეტნაკლებად განვითარებული, დახვეწილი და - ვერ ვიტან ამ სიტყვას, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, მაინც უნდა ვიხმარო: ხარისხიანი.

ესენია:

1. საბანკო სისტემა,

2. კლასიკური საშემსრულებლო ხელოვნება (ვოკალური სკოლა),

2. ძიუდო

და

4. ლი-ტე-რა-ტუ-რა!!!

უბრალოდ, ამ უკანასკნელს ყველაზე ნაკლები გავლენა აქვს ქართულ საზოგადოებაზე.

საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას წარმოდგენაც კი არა აქვს, რომ მათივე თანამოქალაქე მწერლები ზოგჯერ არცთუ ისე უინტერესო წიგნებს წერენ. ლიტერატურა მათთვის რაღაც ძალიან შორეული, სკოლის მოსაწყენ გაკვითილებზე ჩატოვებული სადღეგრძელოებია... ან, უფრო უარესი, კვარცხლბეკზე შემომდგარი მკვდარი მწერლების ქანდაკებები...

მე კიდევ გამიმართლა: ზოგჯერ ტელევიზორის ეკრანზე გამოვჩნდები ხოლმე და ხალხს დათო ტურაშვილი მაინც ვგონივარ, მაგრამ სხვებმა რაღა ქნან, ანუ იმათ, ვინც დატო ტურაშვილში არ ერევათ, თუმცაღა მაინც საინტერესო წიგნებს წერენ? მარტივად: ისინი, უბრალოდ, არ არსებობენ, როგორც მწერლები... თუნდაც ტიტრების დონეზე.

საქართველიში საშინლად ეზარებათ კითხვა... ეჭვი მაქვს, ბევრმა წერა-კითხვაც კი არ იცის! 2000 წიგნი რომ გაიყიდოს, უკვე ბესტსელერად ჩაითვლება ჩვენთან (ბევრი კარგი მწერლისთვის კი ეს 2000-იც საოცნებოა).

ქართველი ხალხი მუდამ იმაზე წუწუნებს, რომ წიგნები ძალიან ძვირია, რეალურად კი ისეთ იდიოტობებში ხარჯავს ფულს და წიგნი კი საერთოდ არ ახსენდება, რომ, შეიძლება, ტირილიც კი მოგინდეს უსამართლობისგან.

საქართველოში იმაზეც წუწუნებენ, რომ ახალგაზრდები არ კითხულობენ, მაგრამ, სინამდვილეში, აქაც სხვაგვარად არის საქმე: რეალურად უფროსები არ კითხულობენ და არა ახალგაზრდები. ნორჩი რომ უფროსის ხელში დაინახავს წიგნს, ისიც წაიკითხავს, აბა, რა ჯანდაბას იზამს! სტატისტიკურად, ყოველ შემთხვევაში, ასეა.

გუშინწინ ლიტერატურულ პრემია "საბას" ცერემონია გაიმართა თიბისი ბანკის ეზოში, ტელევიზიითაც გადაიცა და ხალხიც (მეტად თუ ნაკლებად წიგნიერი) ბლომად მოვიდა.

თუმცა, როგორ გგონიათ, რამდენი ადამიანი დაინტერესდება იმ წიგნებითა და იმ ავტორებით, რომლებმაც საბები მიიღეს, ან რჩეულთა სიაში მოხვდნენ? ძალიან, ძალიან ცოტა. უსამართლოდ ცოტა.

ხოლო იმ ტელემაყურებლებიდან, რომელნიც პირდაპირ ეთერში უყურებდნენ (თუკი, საერთოდ, უყურებდნენ!) პრემიების გადაცემას, ალბათ, გამაოგნებლად ცოტა ადამიანი თუ წაიკითხავს თეონა დოლენჯაშვილი "მემფისს", დათო ქართველიშვილის "ახალ წიგნს", გიორგი ეკიზაშვილის თარგმანებს, მაია ბადრიძის (ანუ მიუზილის) "უთვისებო კაცს", ბათუ დანელიას ან ნიკა ჯორჯანელის ლექსებს, არჩილ ქიქოძის, გიგი სულაკაურის ან გურამ მეგრელიშვილის მოთხრობებს! ზაზა ბურჭულაძის "ფონოგრამას", რომელიც "საბას" რჩეულებში ვერ მოხვდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძალიან მაგარი წიგნია.

მოკლედ, რომელი ერთი ჩამოვთვალო, რჩეულთა სია 50 კაცისგან შედგებოდა და არ ვაჭარბებ, ყველა ტექსტი საინტერესოა...

ეს წიგნები სააკაშვილის ბრიფინგებსაც ჯობია, ოპოზიციონერთა "ბრძნული მეთოდებით ბრძოლასა" და ქადაგებებსაც, ყველა კუკავას და ყველა ბაქრაძეს!

მაგრამ არა, ჩვენ მაინც "ტყემალაძეებს" ვუერთგულებთ, მაინც ტელედებატებს ავირჩევთ, მაინც უჰაერო, უჟანგბადო სივრცეში ვამჯობინებთ დარჩენას... სამყაროს კვალავაც ტელეცხოველებისგან შევიმეცნებთ და ნელ-ნელა, მათსავე სმენაში გავიგუდებით.

ჟანგბადი კი აქვეა, წიგნის მაღაზიებში. იქ ბევრნი არ შედიან, მაგრამ, რაც მთავარია, სუნთქვაა შესაძლებელი.

# მადლობა მოსკოვს - ფიციდან მონანიებამდე

ნინია კაკაბაძე

ვიდრე სტატიის წერას დავიწყებდე, წარმატებას და გამარჯვებას ვულოცავ ქართველ კინემატოგრაფისტებს: ბატონ რეზო ჩხეიძეს, მხატვრული ფილმის "კონფლიქტის ზონა, ყარაბაღი 2"-ის რეჟისორს ვანო ბურდულს და მთელ გადამღებ ჯგუფს.

წელს, მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე, სხვადასხვა პროგრამაში, არაერთი ქართული ფილმი იყო წარდგენილი. მათ შორის მთავარ საკონკურსო პროგრამაში დიტო ცინცაძის "მედიატორი", ხოლო განყოფილებაში "პერსპექტივა" - ვანო ბურდულის "კონფლიქტის ზონა - ყარაბაღი 2". ეს უკანასკნელი საუკეთესო დებიუტის ლაურეატი გახდა. დაჯილდოების ცერემონიალზე პრიზის ასაღებად სცენაზე ფილმის ერთ-ერთი პროდიუსერი არჩილ გელოვანი და მთავარი როლის შემსრულებელი, შესანიშნავი მსახიობი მიშა მესხი ავიდნენ. არჩილ გელოვანმა მადლობა მოახსენა ფილმის გადამღებ ჯგუფს, მეორე პროდიუსერს, მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალს და საერთაშორისო ჟიურის.




ასევე კინემატოგრაფში შეტანილი ღვაწლისათვის დააჯილდოეს საბჭოთა კავშირის დამსახურებული არტისტი, რეჟისორი რეზო ჩხეიძე. ბატონ რეზოს ჯილდო ფესტივალის პრეზიდენტმა ნიკიტა მიხალკოვმა და რუსეთის კულტურის მინისტრმა გადასცეს. რუსული ინტერნეტგვერდის, "გაზეტა რუს" კორესპონდენტი წერს: "სცენაზე დიპლომატიური ტრეინინგი შედგა. ჯერ რეზო ჩხეიძემ მოყვა თავისი დიდებული მეზობლის, რუსეთის შესახებ, შემდეგ კი რუსეთის კულტურის მინისტრმა სასწრაფოდ სცადა რეჟისორის დარწმუნება, რომ ამ მეზობელსაც მხოლოდ ნატიფი გრძნობები აქვს და თუკი ჩვენს ურთიერთობებში არსებობს რაღაც ღრუბლები, ისინი აუცილებლად და მალე გაიფანტება". როგორც ჩანს, რუსი კორესპონდენტი თავისებურ ინტერპრეტაციას აღწერს, რადგან ჩვენ შორის (საქართველო-რუსეთი) არსებულ ღრუბლებზე თავად ბატონმა რეზომ ბრძანა, კულტურის მინისტრი კი მხოლოდ დაეთანხმა, რომ ღრუბლებს აუცილებლად განვდევნით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე წელს ქართული ფილმების რეტროსპექტივა გაიმართა, სახელწოდებით "ფიციდან მონანიებამდე". (მიხეილ ჭიაურელის "ფიცი", თენგიზ აბულაძის - "მონანიება"). არ შეიძლება ეს სათაური სიმბოლურ ხასიათს არ ატარებდეს. ფიცით რუსმა კინემატოგრაფისტებმა, როგორც ჩანს, გეორგიევსკის ტრაქტატი გაგვახსენეს, რაც შეეხება მონანიებას , ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ.

"ყველაფერი ჩვენ" - ასე ჰქვია ზემოხსნებულ სტატიას "გაზეტა რუ -ზე, რომელიც ფესტივალის საინფორმაციო პარტნიორია. მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალზე დაახლოებით 500 ფილმი იყო წარმოდგენილი, რვა ძირითადი ჯილდოდან ხუთი რუსეთში დარჩა, ერთი ქართველ რეჟისორს ერგო ("კონფლიქტის ზონა" რეჟ. ვანო ბურდული), ერთი უკრაინელს ("მელოდია არლნისათვის" რეჟ. კირა მურატოვა) და ერთიც - მექსიკელს ("ხუთი დღე ნორას გარეშე" რეჟ. მარიანა ჩენიო). საერთაშორისო ჟიურის პრეზიდენტი წელს პაველ ლუნგინი იყო. ქართველ მაყურებელს ახსოვს მისი ფილმი "ოლიგარქი", რომელიც ბადრი პატარკაციშვილისა და ბორის ბერეზოვსკის ტრიუმფალურ ფინანსურ მაქინაციებს აღწერს, ფილმი "კუნძული" და ბოლოს "მეფე", რომელიც წელს, კანის საერთაშორისო კინოფეტივალზე მონაწილეობდა პროგრამაში "განსაკუთრებული ხედვა". თავად კინოფესტივალის პრეზიდენტი ნიკიტა მიხალკოვია. სიტყვა ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, ნიკიტა მიხალკოვის შოვინისტურ განწყობებზე აღარ ვილაპარაკებ, მთავარი ერთია: ამ საფესტივალო სცენაზე დირექტორებიც, პრეზიდენტებიც და ლაურეატებიც თავად რუსები არიან. რუსულ კინემატოგრაფიულ თუ ინტელექტუალურ ელიტაში კი, მიუხედავად გაუგებარი ღრუბლებისა, ჩვენც მათ ნაწილად მოვიაზრებით, ამიტომაც გასაკვირი არ არის სტატიის დასახელება "გაზეტა.რუ"-ზე:- "ყველაფერი ჩვენ".

პატარა ლირიული გადახვევა: რამდენიმე დღის წინ მოსკოვში, რუსულ ეკლესიასთან არსებული გაუგებრობების გასარკვევად, საპატრიარქოს წარმომადგენლები და რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი ზურა აბაშიძე გაემგზავრნენ. ერთ-ერთი გაუგებრობა კი, რამდენიმე ხნის წინ გალში აღმართული ჯვრების დემონტაჟი იყო. ვიდრე დელეგაცია ოპტიმისტური განწყობით და ამბით უკან არ დაბრუნებულა, იქნებ ზოგიერთი ქართველი მიხვდეს, რომ ერთმორწმუნე რუსეთი მხოლოდ მისი ლოცვა-კურთხევით აგებულ ტაძრებსა და ჯვრებს იცავს.

მაგრამ, აი, რა უნდა მოხდეს კულტურის სფეროში, რომ ქართველი კულტმუშაკები ერთმორწმუნე რუსეთის ცალსახა ბოროტებაში დარწმუნდნენ - ეს ჯერ ისევ უცნობია. ფესტივალზე წასვლა და მონაწილეობის მიღება ბევრისთვის საკამათო საკითხად იქცა. ვფიქრობ, "ევროვიზიაზე" მიიღებდა მონაწილეობას ის უხარისხო სიმღერა ("ჩვენ არ გვინდა შედება"), თუ მოსკოვის კინოფესტივალში გაცილებით ხარისხიანი ფილმები ჩაერთვებოდნენ - ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს და აქ გადაწყვეტილება თავად მონაწილეებმა უნდა მიიღონ. მით უმეტეს, რომ სხვა პრესტიჟული, საერთაშორისო ფესტივალები ახალი ქართული ფილმების მონაწილეობას არ თანხმდებიან. ვინ გამოგვიწვდის დახმარების ხელს, თუ არა რუსეთი?! საქმე ისაა, რომ ჩვენ არამხოლოდ მონაწილეობაზე ვთანხმდებით, არამედ მუდმივ რევერანსებს და ქედს ვიხრით რუსეთის წინაშე.

ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, ეს ფესტივალი მართლაც საერთაშორისო იყოს. მაგრამ, ვფიქრობ, ზემოთ მოყვანილი ფაქტები ადასტურებს, რომ ის რუსეთის საკუთრებაა. დარწმუნებული ვარ, რეზო ჩხეიძის სინანულით აღსავსე სიტყვები, სადაც ის ამბობს ფრაზას "ჩვენს ქვეყანაში, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ საქართველოს" (საინტერესოა, სხვა შემთხვევაში რომელი სამშობლო იგულისხმება) და ის, რომ, მისი თქმით, მის ორ სამშობლოს შორის ღრუბლები უნდა გაიფანტოს - არავის გაკვირვებია.

საკვირველია უმცროსი თაობის სამადლობელი სიტყვა - "მადლობა მოსკოვს", რომელიც მიშა მესხმა თქვა. არავინ უხდის მადლობას კანს, ვენეციას, ბერლინს, საფრანგეთს, იტალიას თუ გერმანიას - შეფასებისათვის მადლობა, პირველ რიგში, საერთაშორისო ჟიურის ეკუთვნის და შემდეგ, სურვილისამებრ, დედებს, დეიდებს, ცოლებს, შვილებს, გადამღები ჯუფის წევრებს და ა.შ. მაგრამ, ჩვენი შესანიშნავი მსახიობი მიშა მესხი მადლობას მოსკოვს უხდის. ვერსია რამდენიმეა: ახალგაზრდა ბიჭია, მოსკოვში ჩავიდა, რუსი ქალების გემო ნახა, კარგი რესტორანი, წვეულებები, "კეთილგანწყობილი" კულტმუშაკები... მეორე ვერსიის მიხედვით, მესხმა დაინახა, რომ ეს ჯილდო მას მოსკოვმა (როგორც რეზო ჩხეიძე ბრძანებს, დიდებულმა მეზობელმა, რუსეთმა) გადასცა და არა საერთაშორისო ჟიურიმ. მოსკოვს მადლობას უხდის და შემდეგ ქართული ტელევიზიისთვის ასეთ განცხადებას აკეთებს: "მე ვფიქრობ, ჩვენი დაჯილდოება იყო რუსეთის მონანიება". ეს განცხადება კიდევ სხვა მრავალ ვერსიებს აჩენს - ეს ახალგაზრდა მსახიობის თავდაცვაა, თავისმოტყუება თუ ჩვენი მოტყუების მცდელობა?!

ეს ფაქტი მხოლოდ ამ კონკრეტული შემთხვევისთვის არ არის საინტერესო, გაცილებით მნიშვნელოვანია აქედან გამოდინარე დასკვნა: რუსეთის მიმართ ლატენტური თუ ცნობიერი ლტოლვები არამხოლოდ უფროსი თაობის სენია, არამედ ზოგადად ქართული საზოგადოების. ამიტომაც, რუსეთი გაცილებით გაბედულად მოაბიჯებს საქართველოსკენ, რადგან იცის, მას აქ ელიან. კულტურა და სარწმუნოება ქართველი ადამიანის იდენტობის შინაარსია, ეს შინაარსი კი, მას მის მეზობელთან აკავშირებს. როგორც ბატონმა რეზო ჩხეიძემ მეტაფორულად აღნიშნა: "სახლიდან გამოსულები ჩვენ ჯერ ჩვენს მეზობელს ვხედავთ და შემდეგ ამოდის მზე" (აქამდე, მზე ჩრდილოეთიდან ამოდიოდა, ახლა კი ჯერ ჩრდილოეთია და შემდეგ მზე).

ჩრდილოელი მეზობელიც სწორედ ამ ორ სივრცეში, სარწმუნოებასა და კულტურაში აჩენს ახალ-ახალ ბმულებს. ეს ჯილდოები და ქართული კულტურისადმი ნატიფი გრძნობები იქნება იმის გარანტია, რომ ქართულ საზოგადოებაში უფროსი ძმის ხატი კიდევ დიდხანს არ დაინგრევა. სიტყვას და მოქმედებას უსაზღვრო მნიშვნელობა აქვს. თუკი რუსული ტანკი თბილისში შემოგრიალდება, შესაძლებელია, ნაკლებად შეურაცხყოფილად და დამცირებულად ვიგრძნოთ თავი, ვიდრე მაშინ, როდესაც ქედის მოხრას და ხელზე მთხვევას დაგვაძალებენ. რუსეთი ჩვენზე დიდი და ძლიერი ქვეყანაა, ძალით ის ყოველთვის დაგვჩაგრავს, ღირსებას კი ჩვენი ნებით თუ დავთმობთ.

ნუ ავურევთ ერთმანეთში ხელოვნებას და პოლიტიკას! ეს მოწოდება ხშირად ისმის. სამწუხაროა, რომ ამ მოწოდების მომხრეებმა არ იციან, რომ თანამედროვე ხელოვნება თანამედროვე პოლიტიკის გარეშე, პრაქტიკულად, აღარ არსებობს. გენიალურმა ბრიტანელმა კინორეჟისორსმა კენ ლოუჩმა რამდენიმე წლის წინ, კანის საერთაშორისო ფესტივალზე, მისი ფილმის პრემიერის შემდეგ განაცხადა: დღეს ვერც ერთი ადამიანი ვეღარ ახერხებს იცხოვროს პოლიტიკისგან იზოლირებულად, თანამედროვე პოლიტიკა თითოეულ ჩვენგანს ეხება, ამიტომ მე ვერასდროს გავექცევი მას". ფილმი, რომელმაც მოსკოვის ფესტივალზე საუკეთესო დებიუტის კონკურსში გაიმარჯვა, ომის თემას ეხება. "კონფლიქტის ზონა" ქართულ-აფხაზური ომის შესახებაა. ეს ფილმი არ აკეთებს მინიშნებას დამნაშავეზე. ფილმის ავტორები ომის აბსურდზე, უაზრობასა და ბოროტებაზე ლაპარაკობენ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ასეთი ფილმის დაჯილდოებისას, რუსეთის ტრიბუნის გამოყენება (დაჯილდოვების ცერემონიალი მთავარ არხზე, მთელ რუსეთში პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა) პოლიტიკური განცხადებისთვის ურიგო არ იქნებოდა. ეს შესანიშნავი შანსი იქნებოდა არა კონფრონტაციული განცხადებისთვის, არამედ საქართველოს (გნებავთ, ქართული თანამედროვე ხელოვნების თუ კულტურის) ღირსების დასაცავად. მაგრამ, სამწუხაროდ, შანსი მონანიებისათვის გამოვიყენეთ.

# მოკრძალებული სტარტი



გოგიტა ბახაიძის ფოტო

*მეგრელაძემ "ოლიმპს" დუბლით მოაგებინა*

**მიხეილ აბაიშვილი**

გუშინ რუსთავის "ფოლადის" სტადიონზე გაიმართა ევროპის ლიგის პირველი სკავალიფიკაციო ეტაპის მატჩი, რომელშიც ადგილობრივმა "ოლიმპმა" ფარერის კუნძულების "ბ36"-ს უმასპინძლა. მატჩი მასპინძლების უპირატესობით წარიმართა და ლოგიკური, თუმცა, ასეთი თამაშის ფონზე, "ოლიმპის" მოკრძალებულსხვაობიანი გამარჯვებით - 2:0 დასრულდა.

ფარერის კუნძულების არც ერთ კლუბს, მათ შორის, არც "ბ36"-ს უეფას ტურნირების პირველი ეტაპი გადალახული არა აქვს. ეს არც არის გასაკვირი: ფარერებზე პროფესიული კლუბები არც არსებობენ და "ბ36"-ის ფეხბურთელთა ძირითადი პროფესია მეთევზეობა, კლერკობა ან რამე მსგავსია და ფეხბურთი უფრო ჰობი და გართობაა. ამ ფონზე თამაში, რომელიც "ოლიმპმა" შემოგვთავაზა, რბილად რომ ვთქვა, არ შეესაბამება იმ მოლოდინს, რომელიც გუნდის გულშემატკივარს აქვს.

ამ მატჩში უპირატესობის თვალსაზრისით "ოლიმპს" არავითარი პრობლემა არ ჰქონია, თუმცა, ეს, გატანილი გოლების სიმრავლის გარდა, ყველა დანარჩენ კომპონენტში გამოიხატებოდა. ბურთის ფლობის პროცენტის კატასტროფულად უკეთესი მაჩვენებელი (მთელი ორი ტაიმის განმავლობაში სტუმრები ალბათ სულ ხუთიოდე წუთს თუ აკონტროლებდნენ ბურთს), სახიფათო მომენტების სიმრავლე, კარში დარტყმების მაჩვენებელი, ხუთჯერ ძელს გარტყმული ბურთი და რომელი ერთი ჩამოვთვალო. მაგრამ ამ ყოველივეს მთელი მატჩის განმავლობაში გენერალურ ხაზად თან სდევდა რუსთაველი ფეხბურთელების გარკვეული ინდიფერენტულობა. მიჭირს, ბოლომდე ზუსტად გადმოვცე ის, რაც გუშინ "ფოლადის" სტადიონზე ხდებოდა. ფაქტი ერთია: საკუთარი გუნდის მხარდასაჭერად მოსულ რამდენიმე ათას ქომაგს აშკარად არ მოსწონდა ის, რაც მოედანზე ხდებოდა და ამის გამო სტვენა არ შეწყვეტილა.

არადა, თითქოს ყველაფერი კარგად დაიწყო: მე-10 წუთზე გიგაურის კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავით მიმართულება შეუცვალა გუნდის მთავარმა მეგოლემ მეგრელაძემ და ანგარიში გახსნა. ამ მომენტამდეც და მას შემდეგაც მასპინძლებს არაერთხელ შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში აშკარა შეცდომებს უშვებდნენ. რაც დრო გადიოდა, გოლის გაუტანლობით გამოწვეული იმედგაცრუება ოლიმპელებს ლამის ნევროზში გადაეზარდათ, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა შეხვედრის მეორე ნახევარში, როცა "ოლიმპის" შეტევებმა ქაოსური ხასიათი მიიღო, რაც სტუმრებს უადვილებდა საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვას. "ოლიმპს" მშველელად ისევ მეგრელაძე მოევლინა, რომელმაც გიორგი ჭელიძის კარგი პასის შემდეგ მეკარე იოჰანსონთან პირისპირ გასვლა და მეორე გოლის გატანა მოახერხა. ეს 86-ე წუთზე მოხდა და დარჩენილ წუთებში, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროსთან ერთად, საინტერესო თითქმის აღარაფერი მომხდარა. ამ პერიოდზე მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მასპინძლებს სულიერი წონასწორობა ვერც მეორე გოლმა შესძინა, რაც გუნდის კაპიტნის ბაბუნაშვილის მიერ პროვოკაციაზე წამოგებაში აისახა. იგი ერთ-ერთ მეტოქე ფეხბურთელს სრულიად უწყინარ სიტუაციაში განგებ უხეშად ითამაშა და ყაზახი მსაჯისგან წითელი ბარათი მიიღო. ეს საპასუხო შეხვედრის წინ სერიოზული დანაკლისია, რადგან გუშინდელ დაპირისპირებაში ბაბუნაშვილი "ოლიმპის" რიგებში აშკარად გამორჩეული და საუკეთესო იყო.

ასეა თუ ისე, "ოლიმპმა" შემდეგი ეტაპისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა - ანგარიში 2:0 შესაძლოა მინიმალურადაც ვერ ასახავს ამ ორი გუნდის შესაძლებლობებს შორის სხვაობას, მაგრამ ორრაუნდიანი დაპირისპირების ჯამში წარმატებისთვის არცთუ ურიგოა. იმედია, ამ ჰანდიკაპს რუსთავური კლუბი ერთი კვირის შემდეგ განმეორებით მატჩშიც შეინარჩუნებს და შემდეგ ეტაპზე გავა, სადაც მას გაცილებით სერიოზული მეტოქე ელის ვარშავის "ლეგიას" სახით.

### რუმინეთში ქართველმა და რუმინელმა მორაგბეებმა იჩხუბეს

რუმინეთში 17 წლამდე მორაგბეთა შორის ჩემპიონატის მიმდინარეობისას ქართველ და რუმინელ მორაგბეებს შორის გამართული მატჩი ჩხუბით დასრულდა. მას შემდეგ, რაც მატჩი ქართველმა მორაგბეებმა წააგეს, გაურკვეველ ვითარებაში ჩხუბი დაიწყო. ტრიბუნებიდან მაყურებელმა ქართველ მორაგბეებს ბოთლები და სხვადასხვა საგნები დაუშინა. მოგვიანებით მოჩხუბრები ჟანდარმერიის თანამშრომლებმა დააშოშმინეს. ქართველ და რუმინელ მორაგბეებს შორის ეს ჩხუბის მესამე შემთხვევაა. დაპირისპირება თბილისში, საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებებს შორის ამხანაგური მატჩის დროს დაიწყო. რუმინელი მორაგბეები ქართველებს დაემუქრნენ და აასრულეს კიდეც - 11 აპრილს რუმინეთის ჩემპიონატზე ადგილობრივ დინამოსა და ფარელს შორის გამართულ მატჩზე 4 ქართველ მორაგბეს სასტიკად სცემეს.

### შესაძლო შენაძენი

ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს გერმანიის ჩემპიონი ვოლფსბურგი მზადაა, 10 მილიონი ევრო გადაიხადოს მარსელისა და ალჟირის ნაკრების ნახევარმცველ ქარიმ ზიანიში. ვოლფსბურგის ახალმა მწვრთნელმა და მენეჯერმა არმინ ფემ დაადასტურა, რომ კლუბს მართლაც სურს ზიანის შეძენა, თუმცა იქვე დასძინა, რომ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. ამ მოთამაშის გადაბირება ჯერ კიდევ მაშინ მინდოდა, როცა შტუტგარტის მწვრთნელი ვიყავი. მისით ახლაც დაინტერესებული ვარ, - თქვა ფემ, - მაგრამ მარსელის ხელმძღვანელობა მის გაშვებას ეწინააღმდეგება.

### ყენიამ ასამოას გაატანინა

გელზენკირხენის შალკემ , რომელშიც ორი ქართველი - ლევან ყენია და ლევან კობიაშვილი თამაშობენ, მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყო და უკვე საკონტროლო მატჩიც გამართა.

მაგათის შეგირდებმა დონდორფ-ეკერსდორფი 14:1 დაამარცხეს. კობიაშვილმა მოედანზე 90 წუთი გაატარა, ყენია კი შესვენების შემდეგ ჩაერთო თამაშში და ასამოას საგოლე პასი გადასცა. გელზენკირხენელთაგან გოლები გაიტანეს კურანმა (3), იალინმა (3) და რაკიტიჩმა (2). 4 ივლისს შალკე ვიკტორიას ეთამაშება.

### დარჩენის სურვილი

სამუელ ეტო`ომ, რომელსაც "ბარსელონასთან" კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ უმთავრდება, ინგლისის მანჩესტერ სიტისგან საინტერესო წინადადება მიიღო. მანჩესტერ სიტიმ ბარსელონას ხელმძღვანელობას ეტო`ოს სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო შესთავაზა. მიუხედავად ამისა, კამერუნელი ფორვარდის სამუელ ეტო`ოს აგენტმა ხოსე მარია მესალიესმა სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მის კლიენტს ბარსელონაში იმდენ ხანს სურს დარჩენა, რამდენსაც კლუბთან მისი საკონტრაქტო ვადა ითვალისწინებს. ეტო`ოს დარჩენა და საკონტრაქტო ვადის დასრულება სურს. თუ ბარსას არ უნდა, რომ ის დარჩეს, კლუბის ხელმძღვანელობამ გასაგებად უნდა განაცხადოს, რათა ჩვენ ფეხბურთელის სამომავლო გეგმა განვიხილოთ. კლუბში ამბობენ, რომ მთავარ მწვრთნელს პეპ გვარდიოლას ის აღარ ესაჭიროება, მაგრამ ამის შესახებ ფეხბურთელისთვის ჯერ არაფერი უთქვამს , - დასძინა მესალიესმა.

Bazaleti HOTELS GROUP

ბაზალეთის სასტუმროთა ჯგუფი
ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი

დაისვენეთ, გაერთეთ, შეიგრძენით ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი!







ტელ: +995 32 75 53 66 +995 32 75 53 67, E-mail info@bazaletilake.ge reservation@bazaletilake.ge, www. Bazaletilake.ge

## ვიერის "ბლექბერნში" სინჯავენ

იტალიური მედიის ინფორმაციით, ვეტერანი იტალიელი ფორვარდი, 35 წლის კრისტიან ვიერი, უახლოეს 10 დღეს ინგლისური "ბლექბერნის" ბანაკში გაატარებს.

განვლილი სეზონი "ბობომ" "ატალანტაში" დაიწყო, მაგრამ ტრავმის გამო მხოლოდ 9 საჩემპიონატო მატჩში მიიღო მონაწილეობა, რომლებშიც ორი გოლი გაიტანა. აპრილში, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ბერგამოელებმა და ვიერიმ კონტრაქტი გაწყვიტეს.

ბოლო ხანს ვიერის არაერთი შეთავაზება ჰქონდა, ძირითადად, არაევროპული ქვეყნებიდან. ბობოს გადაბირებას ამერიკაშიც ლამობდნენ, თუმცა 35 წლის იტალიელ მეგოლეს ფეხბურთის თამაში მაღალ დონეზე სურს. სწორედ ამიტომ გაემგზავრა ინგლისში. ის ბლექბერნში გადის სინჯებს და თუ გუნდის მესვეურებს თავი მოაწონა, შესაძლოა მომავალი სეზონი ინგლისურ პრემიერლიგაში გაატაროს.

## ადვოკაატი ბელგიის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა

ცნობილი გახდა, რომ ბელგიის ეროვნულ ნაკრებს ჩაიბარებს ჰოლანდიელი დიკ ადვოკაატი, რომელიც ამჟამად სანკტ პეტერბურგის ზენიტის მთავარ მწვრთნელად მუშაობს.

ჰოლანდიელ სპეციალისტს რუსულ გუნდთან კონტრაქტის ვადა 31 დეკემბერს ეწურება, 1 იანვრიდან კი ბელგიელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს დაიკავებს. ამ თანამდებობაზე ადვოკაატი შეცვლის რენე ვანდერეიკენს, რომლის თავკაცობით მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბელგიელები წარუმატებლად თამაშობდნენ - მათ უკვე დაკარგეს 2010 წლის მუნდიალზე მოხვედრის ყოველგვარი შანსი.

## "ატლეტიკოს" ხუანიტო გააძლიერებს

სევილიური ბეტისისა და ესპანეთის ნაკრების მცველი ხუანიტო მადრიდის ატლეტიკოს ღირსებას დაიცავს. ფეხბურთელმა უკვე გააფორმა კონტრაქტი მადრიდულ კლუბთან. როგორც ცნობილია, ბეტისის პრიმერადივიზიონიდან გავარდნის შემდეგ ხუანიტო თავისუფალი აგენტი გახდა. 32 წლის მცველს წინამორბედ კლუბთან საკონტრაქტო ვადა რამდენიმე დღის წინ ამოეწურა. მან ატლეტიკოსთან ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

## ანტონინი "პარმაში" ითამაშებს

მილანის ნახევარმცველი ლუკა ანტონინი, რომელმაც გასული სეზონი თითქმის მთლიანად სათადარიგოთა სკამზე გაატარა და მხოლოდ 11 მატჩში მიიღო მონაწილეობა, მომავალი სეზონიდან პარმას ღირსებას დაიცავს. ადრე ანტონინი პადოვას , პრატოს , ანკონას , სამპდორიას , მოდენას , პესკარას , არეცოს , სიენას და ემპოლის ღირსებას იცავდა.

## ლუის გარსიას ინგლისში ელიან

ესპანიოლის ფორვარდს ლუის გარსიას ინგლისურ ასტონ ვილაში ელიან. ბირმინგემელები მომავალი სეზონისთვის სერიოზულად გაგმავენ გაძლიერებას. თუ ბრიტანულ მედიას დავუჯერებით, ამ მიზნით სწორედ ლუის გარსიას შეძენა გადაწყდა, რომელმაც გასული სეზონი ესპანიოლში ჩააგდო. ასტონ ვილას მესვეურები ფეხბურთელში 5 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიან. ტრანსფერი ალბათ უახლოეს დღეებში განხორციელდება.

## არგენტინელი მეკარე თურქეთში

ცნობილი არგენტინელი მეკარე ლეო ფრანკო, რომელიც თავის დროზე ალბისელესტეს ძირითადშიც ხვდებოდა და ხუთი სეზონი მადრიდის ატლეტიკოში აქვს ნათამაშები, მომავალი სეზონიდან თურული გალათასარაის ღირსებას დაიცავს.

32 წლის მეკარემ გალასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## უიპეშტს "სელტიკის" ყოფილი მცველი უთავკაცებს

შოტლანდიური სელტიკის ყოფილი მცველი უილი მაკსტეი უნგრული უიპეშტის ახალი მთავარი მწვრთნელი გახდა. უეფას ოფიციალური საიტი იუწყება, რომ ფეხბურთის 47 წლის სპეციალისტი დიდი მონდომებით იწყებს ახალ საქმიანობას. გლაზგოდან წასვლა და უიპეშტის სათავეში ჩადგომა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩემთვის, რაც, ამავე დროს, დიდ პასუხისმგებლობასაც მაკისრებს. ბუდაპეშტში ცოტა ხნის წინანდელი ორკვირიანი ვიზიტისას უკვე მოვასწარი მოთამაშეების გაცნობა. მოუთმენლად ველი მომენტს, როდესაც მუშაობას დავიწყებთ , - განაცხადა მაკსტეიმ, რომლის გუნდი ევროპის ლიგის მეორე შესარჩევ რაუნდში რუმინულ სტიაუას დაუპირისპირდება.

# ევროპა ერთი ბრინჯაოა

*ევროპულად აჭრელებულ სპორტის სასახლეში ახალგაზრდა ფალავნებს კონტინენტის საუკეთესოს წოდებისთვის ბრძოლაში თავი არ დაუზოგავთ და რამდენიმე რჩეულმა საწადელსაც მიაღწია. თუმცა, ახალგაზრდა ბერძენ-რომაელ ჩემპიონთა შორის ქართველებმა გზა ვერ გაიკვალეს. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატის პირველ დღეს ოთხ წონით კატეგორიაში გათამაშებული მედლებიდან საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ ბრინჯაო დაისაკუთრა.*




საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულ ნაკრებს პირველი მედალი 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქემალ ხარაბაძემ მოუტანა.

ბრინჯაოს მედალთან ახლოს იყო არსენ კახაბრიშვილიც (84 კგ.), მაგრამ ტრავმა მიიღო და მესამე ადგილისთვის ხალიჩაზე არ გამოვიდა. ბრინჯაოს მედალი უბრძოლველად დარჩა უკრაინელ მაქსიმ ფესენკოს.

ევროპის ჩემპიონატის პირველი ორი დღე ქალების იყო. გუნდური პირველი ადგილი რუსებმა დაიკავეს. ბერძენ-რომაელები ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევას დღეს დაასრულებენ. ხვალ კი ესტაფეტას თავისუფლები ჩაიბარებენ. ჩემპიონატი კვირას დამთავრდება.

**ვაჟები**

ბერძნულ-რომაული

**55კგ.**

1.ორკან ახმადოვი (აზერბაიჯანი)
2.მურადის არატშანოვი (რუსეთი)
3.ქემალ ხარაბაძე (საქართველო)
3.ერჰან კარაკუსი (თურქეთი)

**66კგ.**

1.სასუ კაასინენი (ფინეთი)
2.იაკობ ტიმი (პოლონეთი)
3.რავილ გალეევი (რუსეთი)
3.ფრანკ სტეიბლერი (გერმანია)

**84კგ.**

1.რამსინ აზისსირი (გერმანია)
2.მურტუზა ტაგიევი (აზერბაიჯანი)
3.მაქსიმ ფესენკო (უკრაინა)
3.არტურ ალეკსანიანი (სომხეთი)

**120კგ.**

1.რიზა კეიალპი (თურქეთი)
2.დავიდ ოგანესიანი (რუსეთი)
3.ედუარდ პოპი (გერმანია)
3.ტაისტო ლალი (ფინეთი)

# ხუთჯვაროსანთა ანტირეკორდი



ფიფას ყოველთვიურ სანაკრებო რეიტინგში საქართველოს ნაკრები 104-ე პოზიციაზეა და, გასულ თვესთან შედარებით, ერთი საფეხურით წინ წაიწია, თუმცა ივლისის რეიტინგი სხვა მხრივ არის ჩვენთვის საინტერესო. თუმცა, ეს ინტერესი ანტირეკორდმა გამოიწვია.

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ციკლში 1994 წლიდან მონაწილეობს. ჩვენი გუნდის თამაში განსაკუთრებით წარმატებული არასდროს ყოფილა, მაგრამ თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენს ჯგუფში მყოფი გუნდებიდან რეიტინგში ყველა გაესწრო. ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე ერთი მაჩანჩალა, რომელიც ჩვენზე უარეს მდგომარეობაში იყო.

ეს შესარჩევი ციკლი საქართველოს ნაკრებმა ისე დაიწყო, რომ ჯგუფში მყოფი გუნდებიდან მხოლოდ მონტენეგროს (ჩერნოგორიის) ნაკრებს უსწრებდა. წინა თვის რეიტინგში ჩერნოგორიელები 110-ე ადგილზე იყვნენ და ხუთი საფეხურით ჩამოგვრჩებოდნენ, ახლა კი ჩვენ მხოლოდ ერთი საფეხურით წავიწიეთ წინ. ჩერნოგორიის ნაკრებმა 98-ე პოზიციაზე გადაინაცვლა.

საეჭვოა, შესარჩევი ციკლის დარჩენილ მატჩებში კუპერის გუნდმა იმდენი სარეიტინგო ქულა დააგროვოს, რომ წინ წაიწიოს. ასე რომ, ამ შესარჩევ ციკლს ალბათ ისე დავასრულებთ, ჯგუფში რეიტინგითაც ბოლოები ვიქნებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრისას საქართველოს ნაკრები ყველაზე სუსტ გუნდებთან ერთად განითესება.

**გთავაზობთ ივლისის რეიტინგის საუკეთესო 20 გუნდის ჩამონათვალს:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.ბრაზილია | 1672 | 17.პორტუგალია | 879 |
| 2.ესპანეთი | 1590 | 18.კოტ დ`ივუარი | 874 |
| 3.ჰოლანდია | 1379 | 19.უკრაინა | 874 |
| 4.იტალია | 1229 | 20.ურუგვაი | 860 |
| 5.გერმანია | 1207 | 23.ბულგარეთი | 839 |
| 6.რუსეთი | 1161 | 37.ირლანდია | 758 |
| 7.ინგლისი | 1161 | 73.კვიპროსი | 445 |
| 8.არგენტინა | 1091 | 98.ჩერნოგორია | 339 |
| 9.საფრანგეთი | 1082 | 104.საქართველო | 326 |
| 10.ხორვატია | 1031 | | |
| 11.საბერძნეთი | 1001 | | |
| 12.აშშ | 983 | | |
| 13.შვეიცარია | 930 | | |
| 14.სერბეთი | 925 | | |
| 15.დანია | 909 | | |
| 16.ავსტრალია | 886 | | |

იტალია, ბულგარეთი, ირლანდია, კვიპროსი და ჩერნოგორია 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მე-8 ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები არიან.

# საქართველო ამერიკელებთან მერვედფინალშია

*პლაჟის ფრენბურთის ქართველ ბრაზილიელთა წყვილმა საქა-რთველომ (კრისტინა სანტანა და ანდრეცა ჩაგაში) სტავანგერში (ნორვეგია) მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე მერვედფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.*

33-ე ნომრად განთესილმა საქა-რთველომ ჯგუფურ ეტაპზე სამი მატჩიდან ორში იმარჯვა, მეთექვსმეტეფინალში კი 43-ე რეიტინგის მქონე შვეიცარიულ წყვილს (ფორერი-შმოკერი) 2:0 (21:14, 21:16) სძლია და მერვედფინალურ საგზურს დაეუფლა. ქართული გუნდის უპირატესობა ორივე სეტში აშკარა რომ იყო, სეტებშიც ჩანს და იქიდანაც, თუ რა დრო მოანდომეს შვეიცარიელთა დამარცხებას. საქა-რთველო ფორერი-შმოკის ტანდემს 34 წუთში გაუსწორდა.

მერვედფინალში საქართველოს გაცილებით რთული გამოცდა ელის. ბრაზილიელი ქართველების პირისპირ მე-4 ნომრად განთესილი ამერიკელები ბრანა და იანგსი დადგებიან. ამერიკელებმა ჯგუფში სამივე მატჩი მოიგეს, მეთექვსმეტედფინალში კი 26-ე რეიტინგის მქონე ჰოლანდიურ წყვილს 2:0 (21:18, 21:10) იოლად გაუსწორდნენ. დღეს ქართულ-ამერიკული დაპირისპირება შედგება.

გოგოებისგან განსხვავებით, წარუმატებელი გამოდგა მსოფლიო ჩემპიონატი ასევე 33-ე ნომრად განთესილ ვაჟთა წყვილისთვის გეორ-გიასთვის (რენატო გომეში და ჟორჟ ტერშეირო). ჯგუფურ ეტაპზე გეორ-გიას 3 მატჩში 4 ქულა მოუგროვდა, I ჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავა და მეთექვსმეტედფინალში გასვლის შანსი დაკარგა.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 3 ივლისიდან აცხადებს ტენდერს ვერტიკალური ბერკეტის გამბრჯენის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **ვერტიკალური ბერკეტის გამბრჯენის** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

**სატენდერო დოკუმენტაცია და შესბამისი ნახაზი** (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **3 ივლისიდან** 2009 წლის **23 ივლისის** ჩათვლით **სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტის № | საქონლის დასახელება და მახასიათებლები | ერთ. | რაოდ |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | გამბრჯენი ვერტიკალური ბერკეტის 100.40.030-0 100.40.080-0 | ცალი | 400 |

**3. მიწოდების ადგილი და პირობა:** DDP თბილისი;

**4. მიწოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში.

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 23 ივლისის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

**ფიზიკური პირებისათვის :**

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
